სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 ივლისი 2004 №164 (2185) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზაძე არაბეს ეთამაშ-თამაშა

ვინ? ვინი!

ახალი ბუნდეს ბეფი: ბეფერი?

გუშინ ფრანც ბეკენბაუერმა გერმანიის ნაკრების შესაძლო მწვრთნელად ვინი შეფერი დაასახელა.

იაშვილიც წავი...დაკა



ბაბრი ჯიმილაძის ფოტო

ბაბრი ფოტოდოკუმენტი

თბილისის „დინამო“ ყაბულსაა, 19 წლის სანდრო იაშვილი გაასხვისოს — საქართველოს თექვსმეტ და თვრამეტწლამდელ ნაკრებთა ყოფილი გოლდამშენი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე არაორდინარული თავდამსხმელიც გახლდათ, მაგრამ გია გეგუჩაძე და „დინამო“, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობენ.

გემოვნებაზე სწორედაც რომ დავობენ, მაგრამ იაშვილი ჯერაც ნედლი ფეხბურთელია და თუ „დინამო“ მართლაც კადრების მომზადების ლაბორატორიაა, 19 წლის ნიჭიერს სხვაგან რატომ უშვებს?

ახლა იაშვილი სამარაშია და იქაურ „კრილია სოვეტოვში“ ისინჯება, ცოტა ხნის წინ კი მან ვიღაც-ვიღაცეები გამოიჭირა ტყუილში — ბორისოვში ბატესთან სათამაშოდ არწაყვანილ იაშვილზე თქვეს, საზარდული აწუხებსო, მაგრამ...

მოკლედ, იაშვილი საკუთარ თავთან და ხასიათთან მარტო დარჩა და ახლა რუსული პრემიერლიგის გუნდის მოთხოვნებს უნდა გაუძლოს.

იაშვილიც წავი...დაააა

თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი სანდრო იაშვილი გუშინ სამარაში ჩაფრინდა და დღეიდან იქაურ „კრილია სოვეტოვში“ ივარჯიშებს.

ტრანსფერის ამბავი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ თავისთავად ფაქტი, რომ იაშვილი კარიერის გაგრძელებას რუსეთში ეშურება, მოულოდნელია



ბორისოვიდან ბატესთან თამაშის მერე დაბრუნებულმა „დინამოს“ ხელმძღვანელებმაც კი ზუსტად არ იცოდნენ, იაშვილს სამარელები ახლა თუ მიიწვევდნენ. ახალგაზრდა ფორვარდის სავარაუდო ტრანსფერზე ლაპარაკი ზამთარში ესენგეს ჩემპიონთა ტურნირის დასრულებისთანავე დაიწყო, მაგრამ საქმე წინ არც მაშინ წაწეულა და არც მას მერე და „დინამოდან“ იაშვილის ზედ სეზონის დაწყების წინ წასვლასაც არავინ ელოდა.

საქმე კი მას შემდეგ გაიჩარხა, რაც პარასკევს „დინამოს“ უფროსობას „კრილია სოვეტოვიდან“ დაუკავშირდნენ და სანდრო იაშვილის გადაბირების სურვილი გამოთქვეს. „დინამო“ თავად ფეხბურთელსაც დაეკითხა ამის თაობაზე, იაშვილს რუსეთში წასვლის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და... სანდრო თბილისიდან შაბათს აიბარგა, ჯერ მოსკოვს გაემგზავრა, იქიდან კი სამარს.

„დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, სანდრო იაშვილი „კრიალიაში“ გასასინჯად წავიდა და თუ იქ არ დარჩა, ისევ „დინამოში“ დაბრუნდება.

ჯერჯერობით უცნობია იაშვილის სატრანსფერო ფასი, თუმც რაკი სამარელებმა ფეხბურთელი მიიწვიეს და ის „დინამომაც“ დაუბრკოლებლად გაუშვა, გამოდის, რომ კლუბები სატრანსფერო თანხაზე წინასწარ შეთანხმებულები არიან.

ლევან სალუქვაძისვე თქმით, იაშვილის სამარულ კლუბში შესაძლო ტრანსფერი არ უნდა ჩაითვალოს ფეხბურთელსა და „დინამოს“ შორის კონფლიქტის გამოძახილად.

შეგახსენებთ, რომ „დინამოს“ მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ბატესთან სათამაშოდ იაშვილი ბორისოვში არ წაიყვანა და ამის მიზეზად ფეხბურთელის მცირე ტრავმა დაასახელა. თავად იაშვილმა კი თქვა, სრულიად ჯანმრთელი ვიყავიო.

იაშვილთან სამარაში გუშინ დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. რუსული პრემიერლიგის შაბათის მატჩის შემდეგ „კრალია სოვეტოვი“ უფროსებიან-ფეხბურთელებიანად ისვენებდა და, ბუნებრივია, არც იაშვილს უვარჯიშია. სამარელთა მწვრთნელ გაჯი გაჯიევისთვის თავის მოწონებას სანდრო დღეიდან შეუდგება. მერე კი ვნახოთ...

და აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ესენგეს ტურნირის შემდეგ სანდრო იაშვილის გადაბირება კიევის „დინამოს“ სურდა. თავის დროზე კი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი იტალიურ „რომაში“ იყო სტაჟირებაზე.

კოგა ინასარიძე

ოთხშაბათი განკითხვის დღეა?

პროფლიგის მიერ შექმნილი უმაღლესი ლიგის გუნდების ინფრასტრუქტურის შემსწავლელი საგანგებო კომისია დღეს და ხვალ ხელახლა ჩამოუვლის იმ კლუბებს, რომლებიც აქამდე პროფლიგის „შავ სიაში“ იყვნენ.

კომისიამ, გეხსომებათ, წინა, სამი კვირის წინანდელი შემოვლისას რამდენიმე უმაღლესლიგელს სტადიონიც დაუწუნა და სხვა შენიშვნებიც „ჩამოუწერა“. ამას გარდა, უმაღლესში წლეულს დაბრუნებულები — „ქობულეთი“ და „რუსთავი“ პროფლიგის სხვა, ძირითადად ფინანსურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებენ და კომისიას ამ საკითხთა შესწავლაც მოუწევს.

კომისია, რომელსაც საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცი ნოდარ კაკულია მეთაურობს, კლუბების შემოწმებას დღეს აჭარიდან დაიწყებს და იქიდან სხვებსაც ჩამოუყვება.

შეგროვებულ მასალებს კომისია პროფლიგას მიაწვდის, რაც, ალბათ, 21 ივლისისთვის დაგეგმილ კონფერენციაზე განიხილება და... კულუარებში ხშირად მოჰკრავთ ყურს ასეთ ინფორმაციასაც — უმაღლეს ლიგაში წლეულს შესაძლოა ათმა გუნდმა ითამაშოს. „ქობულეთსა“ და „რუსთავს“ საქმე ცუდად აქვთ, მათ ანგარიშზე 300 ათასი ლარის „დასმა“ და ამით პროფლიგის მთავარი მოთხოვნის შესრულება ჯერ წარმოუდგენელი ჩანს და ისიცაა, რომ ამ კლუბებს უმაღლესში სათამაშოდ სხვა ელემენტარული პირობებიც არ აქვთ.

დაველოდოთ 21 ივლისს და იმ დღეს შესაძლოა ქართული ფეხბურთისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილების მომსწრენიც გავხდეთ. აქამდე ხომ ფედერაციას უფულობის გამო გუნდი უმაღლესი ლიგიდან არ მოუკვეთია.

კოგა ინასარიძე

სტაბილურობას ასეული სჭირდება
ვისლას გამოგდება შანსიანია

გუშინ თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ფარერების კუნძულებისკენ მიმავალ გზას დაადგა — ჩემპიონთა ლიგის პირველი შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩში ზეგ ტორსჰავნის „ჰაფნარს“ ეთამაშება. პირველი მატჩი თბილისში ვიტელებმა 5:0 მოიგეს და მათგან ყველაზე მეტად ოთარ მარცვალაძე გამოირჩა — „ვიტ ჯორჯიას“ 21 წლის გარემარბი წინა სეზონში გაიცნო ეროვნული ჩემპიონატის გულშემატკივარმა, მარცვალაძემ რამდენიმე პრინციპულ შეხვედრაში გამოიჩინა თავი და ევროსარბიელზეც კარგი დებიუტი ჰქონდა, თუმც ნახევრადპროფესიული „ჰაფნარი“ ერთია და ვიტელთა მომდევნო მეტოქე სულ სხვა დონეა — მარცვალაძის და „ვიტ ჯორჯიას“ ძალა ანი უფრო კარგად გამოჩნდება



ოთარ მარცვალაძეს ფოტო

— თბილისიდან ჯერ ამსტერდამში ჩავალთ, იქიდან კოპენჰაგენში და მერე ტორსჰავნში. გუნდში ყველაფერი რიგზეა, „ჰაფნართან“ პირველ მატჩში დაშავებულები, გოჩაშვილი და ნოზაძე ჯანმრთელად არიან.

— „ჰაფნართან“ თბილისური მატჩის პირველ წუთებში ძალიან ნერვიულობდით...

— თავიდან მართლაც ეგრე იყო, რადგან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ პირველად თამაშობდა, თანაც გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და ასეთ ტურნირზე სათამაშოდ გამოცდილება გვაკლია.

— გარემარბი ხარ და ორივე ფლანგზე გიწევს თამაში, მარცხნიდან გირჩევნია შეტევა თუ მარჯვნიდან?

— ჩემთვის სულერთია, რომელ ფლანგზე გამამწესებენ, მაგრამ უფრო მაინც მარჯვნიდან მირჩევნია შეტევა — ორივე ფეხს კარგად ვხმარობ, თუმც მარჯვენას უკეთესად.

— „ჰაფნართან“ თბილისში 5:0 მოიგეთ და საპასუხო მატჩში რას უნდა ველოდოთ?

— შემდეგ ეტაპზე გამსვლელის საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ „ჰაფნარი“ ახლა შინ თამაშობს და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე გამარჯვებას ეცდება.

— მომდევნო ეტაპზე თქვენი მეტოქე პოლონეთის ჩემპიონი „ვისლაა“...

— „ვისლას“ ერთი თამაშის ფირი ვნახეთ. ახლა იმაზე ვფიქრობთ, ამ გუნდის წინააღმდეგ რა ტაქტიკით ვითამაშოთ. „ვისლამ“ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ყველანაირად მაგარი გუნდია, თუმც მანამდე „ჰაფნარს“ გასვლაზე უნდა მოვუგოთ.

— მერედა, რა შანსი აქვს ასეთ „ვისლასთან“ „ვიტ ჯორჯიას“?

— უშანსოდ ნამდვილად არ ვართ, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

— ევროტურნირები სამივე ქართულმა გუნდმა წარმატებით დაიწყო, თუმც, ბევრის აზრით, ყველაზე კარგად „დინამომ“ წარმოაჩინა თავი და ეროვნულ ჩემპიონატშიც საუკეთესო „დინამო“ იქნება...

— „დინამომ“ ბატესთან მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ ჩვენც არანაკლებ ვართ მზად ახალი სეზონისთვის. ყველაფერს ჩემპიონატის მატჩები გაარკვევს.

— ითქვა, რომ „ვიტ ჯორჯია“ „ვისლასთან“ მატჩებისთვის გიორგი ადამიას დაიბრუნებსო...

— ამ საკითხზე მართლაც არის ლაპარაკი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

— „ვიტ ჯორჯიას“ ამ შემადგენლობით ძალუძს პოლონეთის ჩემპიონის დამარცხება?

— თუ „ვისლას“ მოვუგებთ, ეს „ვიტ ჯორჯიასთვის“ ძალიან დიდი წარმატება იქნება. რაც შეეხება ჩვენს შემადგენლობას, მიმაჩნია, რომ ამ კონტინგენტით „ვიტ ჯორჯიას“ საკმაოდ კარგი შანსი აქვს, „ვისლა“ გამოაგდოს.

— ოთარ მარცვალაძე ყველამ წინა სეზონში გაიცნო, თუმც ერთი პერიოდი ჩავარდნაც გქონდა და ზოგმა ეს იმას დააბრალა, მარცვალაძეს თავში აუვარდა და სტაბილურობას ამის გამო ვერ ინარჩუნებსო...

— ეს ასე არ არის, თავში ნამდვილად არ ამვარდნია, სტაბილურობა იმიტომ ვერ შევინარჩუნე, რომ ჯერაც ახალგაზრდა ვარ — სტაბილურობა ასაკთან ერთად, ნელ-ნელა მოვა.

— შენს კოზირად სისწრაფეს მიიჩნევ?

— სისწრაფეს და დრიბლინგს, თუმც საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

დავით თავართქილაძე

ვინ ანცვლიანის სვეტი

სამუდამო საქმისთვის

დიახაც, ჩაიარა მშვენიერმა და ტკბილმა ევროპის ჩემპიონატმა და ჩვენ ისევ ვუბრუნდებით საკლუბო ფეხბურთს, ევროპულსაც და შინაურსაც. სანამ დიდი ქვეყნების ჩემპიონატები დაიწყება, პატარები უეფასგან მოძღვნილი რამდენიმე საგზურისთვის იბრძვიან.

საქმე შემოდგომამდე მიღწევას ეხება.

ამაში ქართული გუნდებიც ურევია და ქართულმა გუნდებმა იშვიათი ერთსულოვნებითა და გამარჯვებით დაიწყეს ევროპის წინისწინა ტურნირები. მეტოქეებიც არ იყვნენ დიდი გაქანებისა: ფარერელები, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელები და ბელარუსები. სამი მოგება კი მაინც გამოვიდა და ამათგან ორი ძნელი (აქედან ერთი სტუმრად). ოღონდაც ჩვენთვის მაინც საჭირბოროტო საკითხად რჩება, სადამდე გააღწევენ ჩვენი გუნდები. ვთქვათ, თბილისის „დინამო“, რომელმაც გასვლაზე ორი ბურთი ამოიღო თავის ევროპულ ისტორიაში პირველად. მართალია, მეტოქედ ბატე იყო და არა, თუნდაც, „სვაროვსკი ვაკერი“, მაგრამ მაინც საინტერესოა, წლები გადის და გვენატრება, თუნდაც სექტემბრის თამაშები

აი, იმ დღესაც ერთ პოსტსაბჭოურ ფეხბურთს ვუყურე: კიევის „დინამო“ „შახტარს“ ხვდებოდა უკრაინის სუპერთასზე. სამართლე რომ ითქვას, ეს არ იყო რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ საშუალო ოსტატობისა და დიდი ჟინის, ასევე სისწრაფის წყალობით მშვენიერ თამაშად გამოიყურებოდა, თანაც სუპერთასის პირობაზე.

ორივე ეს უკრაინული გუნდი გამოვსებულია უცხოელებით. რა თქმა უნდა, ფრანგი და არგენტინელი იქ არავინ არის, მაგრამ არიან, ვთქვათ, რუმინელები (განსაკუთრებით „შახტარში“) და თან ახალგაზრდები. ანუ შესაბამისი სახვალიო ყიდვა-გაყიდვებიც შეიგრძნობა. რასაც ეს ორი გუნდი აკეთებდა მოედანზე თამაშს მოყოლებული აცილებული პენალტების სერიით, ნამდვილი ფეხბურთი იყო თავისი ყველა თვისებით. ისიც კი ეტყობოდა, რომ მინდორსგარეთა საკითხებზეც ბევრს ფიქრობენ.

სამი წელიწადია, რაც „შახტარი“ იქცა სამუდამო გუნდად. ანუ ასეთად, კიევის „დინამოს“ რომ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს და ერთხელ ჩემპიონთა ლიგაშიაც კი შეასწრო. კლუბს რომ სწორად ქმნი, მასში მერე ჩნდება სამუდამო რაღაცეები და იქაც, მგონი, ასეა.

ჩვენმა კლუბებმა სამი გამარჯვებით დაიწყეს წლევანდელი შეჯიბრი, მაგრამ საქმეც ეს არის, რომ ჩვენ მიჩვეულნი უნდა ვიყოთ ამ გამარჯვებას. უკვე დროა. რაც არ ივარგებს, თავისთავად წახდება. ამიტომ ყველაფერი, რაც კეთდება, სამუდამო უნდა იყოს, სულ უნდა ემატებოდეს. თუ აკლდება, ვეღარაფერს გასწვდები.

სულიკო დავითაშვილს პირველ ამერულ გოლს ულოცავენ

ამერმა ჩემოდანზე მჯდომმა მოიგო

შაბათს „ნორჩი დინამოელის“ სკოლაში „ამერი“ ამხანაგურ მატჩში თანალიგელ მცხეთის „ვიტ ჯორჯიას“ შეხვდა. ეს მატჩი ახალი სეზონისთვის მზადების პერიოდში „ამერისთვის“ პირველი იყო.

გუნდები შეხვედრას სხვადასხვაგვარად მიუდგნენ. ვიტელებმა პირველივე წუთიდან მაღალ ტემპში და მჭიდრო პრესინგით თამაში არჩიეს. საკონტროლო შეხვედრაში ამერელთა მიზანზე კი მათმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა: „წინა სეზონის დასრულების მერე ეს ჩვენი პირველი მატჩია. ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანი შეთამაშებაა. დღეს გუნდს არც ხარისხიანი ფეხბურთის თამაშს ვთხოვ და არც შედეგს.“

თამაში დაიწყო და, მალევე გამოჩნდა, „ამერი“ ფიზიკურად მეტოქეს ჩამორჩებოდა. ამის თაობაზე „ამერის“ ფიზმომზადების მწვრთნელმა ოლეგ კასოევმა გვითხრა, ამ ეტაპზე გუნდი არც უნდა იყოს კარგ ფორმაში, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ თვემდე გვრჩება და ფეხბურთელებს ისე ვტვირთავთ, რომ ოპტიმალურ ფორმაში აგვისტოს მეორე ნახევარში შევიდნენო.

„ვიტ ჯორჯია“ სწრაფი გოლით დაწინაურდა. ყოფილმა ვიტელმა თემურ სამსიანმა საჯარიმოდან უხეიროდ გამოიტანა ბურთი, რომელიც ლაშა ჯაფარიძეს მიუვიდა და მან ეფექტური დარტყმით ძელის სიახლოვეს ჩააჭედა. ამ დროს მატჩის მეხუთე წუთი მიდიოდა. სხვათა შორის, ამ გუნდების წინა, ჩემპიონატის შეხვედრაშიც ვიტელებმა „ამერს“ მეხუთე წუთზე გაუტანეს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მატჩი, გუნდების შეთანხმებით, 80-წუთიანი იყო.

პირველ ტაიმში ვიტელებს ამერელთა მეკარე ლადო ნადირაშვილი მეტად აღარ შეუწუხებიათ. ამავე დროს, არც მათ მეკარე მიხეილ მუჯრიშვილს ჰქონია ბევრი საქმე. მუჯრიშვილი, ფაქტობრივად, ერთადერთხელ ჩაება საქმეში, როცა გიორგი დეკანოსიძის მიერ დაბალ კუთხეში დარტყმულ ბურთს კარში გასვლა არ დაანება. პირველ ტაიმში „ამერმა“ ერთხელაც შეუტია მეტოქეს სახიფათოდ, ელბაქიძე-კაიდარაშვილ-დავითაშვილის კომბინაცია უმაღლესი ლიგის შარშანდელი ბომბარდირის ახლოდან დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბოლო წამს მცველმა ბურთს ფეხი დაუხვედრა და კუთხურზე გადააგდო.

სულიკო დავითაშვილმა თავისი პირველი ამერული გოლი მაინც გაიტანა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში შეცვლაზე შესულმა ჯაბა ბერიანიძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა დავითაშვილმა კი თავი დაჰკრა და ანგარიში გაათანაბრა.

ამის მერე „ვიტ ჯორჯიამ“ გამალებით შეუტია და დაახლოებით ათი წუთი ბურთი „ამერის“ ნახევარზე ტრიალებდა, თუმცა საქმე კარში სახიფათო დარტყმამდე არ მისულა. მერე თამაში გათანაბრდა და „ამერმა“ რამდენჯერმე შეუტია მეტოქის კარს. თამაშს აშკარად სიმწვავე შემატა ამერელთა კიდევ ერთი ახალწვეულის, რეგიონული ლიგის ბომბარდირის დავით სევასტოპულოს შესვლამ.

78-ე წუთზე კი ამერელთა კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა, რომელიც მეტოქის ორმაგ შეცდომას მოჰყვა. ვიტელებმა საჭიროების გარეშე ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, არადა, მოედანს მიღმა ამერელის დარტმით გადადიოდა. კუთხურიდან ჩაწოდებული კი ვიტელი მცველისგან დავითნიძეს მიუვიდა და მანაც თავურით გაიტანა.

24 ივლისს „ამერი“ შეკრებაზე მიემგზავრება ჩეხეთში და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს იქ გამართავს, გუშინწინ კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს

ამერი: ნადირაშვილი, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (ელბაქიძე 17), სამსიანი (ნიკოლაიშვილი 30), ბუალავა (ბერიანიძე 41), გარუჩავა, სილაგავა(მჭედლიშვილი 77), დეკანოსიძე (შონია 80), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 74), კაიდარაშვილი (სევასტოპულო 59)

ვიტ ჯორჯია: მუჯრიშვილი (კობახიძე 41), აფშილავა, ჯაფარიძე, დათუნაიშვილი (მაკაროვი 49), ჭანტურია, ლომაია, მელქაძე, კვახაძე, ნათიძე (გოგორიშვილი 49), მანწკავა, გრიგორიევი (ბუჯიაშვილი 41)

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პირველლიგელებს კალენდარი კი შეუდგინა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში კიდევ შეიძლება ცვლილებები მოხდეს.

წინა სეზონის მსგავსად, პირველ ლიგაში ისევ 16 გუნდი ითამაშებს, მაგრამ თუ ადრე უმაღლეს ლიგაში ორი საუკეთესო გუნდი პირდაპირ გადადიოდა და ორიც პლეი ოფში თამაშის უფლებას იღებდა, ახლა უმაღლესში პირდაპირ მხოლოდ პირველი ლიგის ჩემპიონი გადავა, პლეი ოფში კი მხოლოდ მეორეადგილოსანი ითამაშებს. გასავარდნთა რაოდენობა კი ექვსამდე გაიზარდა, რაც თითოეულ ქუთაისელ ოქროს ფასს დაადებს.

რეგიონული ლიგიდან აღზევებულ „თორთან“, „მაღაროელთან“ და „კახეთთან“ ერთად პირველ ლიგაში ითამაშებს საგარეჯოს „ვიტ ჯორჯიაც“, ოღონდ ეს სახეშეცვლილი თსუ-ა.

საქართველოს 16 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი ნრე

კალენდარი

პირველი ტური

15 აგვისტო, კვირა
ამერი — ცხინვალი
ივერია — მილანი
სპარტაკი — გურია
მაღაროელი — ვიტ ჯორჯია ს.

16 აგვისტო, ორშაბათი
ოლიმპი — კახეთი
მცხეთა — თორი
დინამო 2 — მერცხალი
ჩიხურა — ვიტ ჯორჯია მ.

მეორე ტური

20 აგვისტო, პარასკევი
კახეთი — ვიტ ჯორჯია ს.
ვიტ ჯორჯია მ. — მაღაროელი
მერცხალი — ჩიხურა
გურია — დინამო 2
მილანი — სპარტაკი
თორი — ივერია
ცხინვალი — მცხეთა
ოლიმპი — ამერი

მესამე ტური

29 აგვისტო, კვირა
ივერია — ცხინვალი
ჩიხურა — გურია

30 აგვისტო, ორშაბათი
ამერი — კახეთი
მცხეთა — ოლიმპი
სპარტაკი — თორი
დინამო 2 — მილანი
მაღაროელი — მერცხალი
ვიტ ჯორჯია ს. — ვიტ ჯორჯია მ.

მეოთხე ტური

9 სექტემბერი, ხუთშაბათი
კახეთი — ვიტ ჯორჯია მ.
მერცხალი — ვიტ ჯორჯია ს.
გურია — მაღაროელი
მილანი — ჩიხურა
თორი — დინამო 2
ცხინვალი — სპარტაკი
ოლიმპი — ივერია
ამერი — მცხეთა

მეხუთე ტური

17 სექტემბერი, პარასკევი
მცხეთა — კახეთი
ივერია — ამერი
სპარტაკი — ოლიმპი
დინამო 2 — ცხინვალი
მაღაროელი — მილანი
ვიტ ჯორჯია მ. — მერცხალი

18 სექტემბერი, შაბათი
ჩიხურა — თორი
ვიტ ჯორჯია ს. — გურია

მეექვსე ტური

25 სექტემბერი, შაბათი
კახეთი — მერცხალი
თორი — მაღაროელი

26 სექტემბერი, კვირა
მილანი — ვიტ ჯორჯია ს.
ცხინვალი — ჩიხურა
ოლიმპი — დინამო 2
ამერი — სპარტაკი
მცხეთა — ივერია

27 სექტემბერი, ორშაბათი
გურია — ვიტ ჯორჯია მ.

მეშვიდე ტური

1 ოქტომბერი, პარასკევი
ივერია — კახეთი
სპარტაკი — მცხეთა
დინამო 2 — ამერი
ჩიხურა — ოლიმპი
ვიტ ჯორჯია მ. — მილანი
მერცხალი — გურია

2 ოქტომბერი, შაბათი
მაღაროელი — ცხინვალი
ვიტ ჯორჯია ს. — თორი

მერვე ტური

8 ოქტომბერი, პარასკევი
კახეთი — გურია
მილანი — მერცხალი
თორი — ვიტ ჯორჯია მ.
ოლიმპი — მაღაროელი
მცხეთა — დინამო 2
ივერია — სპარტაკი

9 ოქტომბერი, შაბათი
ცხინვალი — ვიტ ჯორჯია ს.
ამერი — ჩიხურა

მეცხრე ტური

14 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია ს. — ოლიმპი

15 ოქტომბერი, პარასკევი
სპარტაკი — კახეთი
დინამო 2 — ივერია
ჩიხურა — მცხეთა
ვიტ ჯორჯია მ. — ცხინვალი
მერცხალი — თორი
გურია — მილანი

16 ოქტომბერი, შაბათი
მაღაროელი — ამერი

მეათე ტური

24 ოქტომბერი, კვირა
კახეთი — მილანი
ცხინვალი — მერცხალი
ამერი — ვიტ ჯორჯია ს.
მცხეთა — მაღაროელი
ივერია — ჩიხურა

25 ოქტომბერი, ორშაბათი
თორი — გურია
ოლიმპი — ვიტ ჯორჯია მ.
სპარტაკი — დინამო 2

მეთერთმეტე ტური

29 ოქტომბერი, პარასკევი
დინამო 2 — კახეთი
მაღაროელი — ივერია
ვიტ ჯორჯია მ. — ამერი
მერცხალი — ოლიმპი

30 ოქტომბერი, შაბათი
ჩიხურა — სპარტაკი
ვიტ ჯორჯია ს. — მცხეთა
გურია — ცხინვალი
მილანი — თორი

მეთორმეტე ტური

6 ნოემბერი, შაბათი
კახეთი — თორი
ცხინვალი — მილანი
ოლიმპი — გურია
ამერი — მერცხალი
მცხეთა — ვიტ ჯორჯია მ.
ივერია — ვიტ ჯორჯია ს.
სპარტაკი — მაღაროელი
დინამო 2 — ჩიხურა

მეცამეტე ტური

12 ნოემბერი, პარასკევი
ჩიხურა — კახეთი
ვიტ ჯორჯია მ. — ივერია
მილანი — ოლიმპი

13 ნოემბერი, შაბათი
მაღაროელი — დინამო 2
ვიტ ჯორჯია ს. — სპარტაკი
მერცხალი — მცხეთა
გურია — ამერი
თორი — ცხინვალი

მეთოთხმეტე ტური

20 ნოემბერი, შაბათი
კახეთი — ცხინვალი
ივერია — მერცხალი

21 ნოემბერი, კვირა
ოლიმპი — თორი
ამერი — მილანი
მცხეთა — გურია
სპარტაკი — ვიტ ჯორჯია მ.
ჩიხურა — მაღაროელი

22 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო 2 — ვიტ ჯორჯია ს.

მეთხუთმეტე ტური

25 ნოემბერი, ხუთშაბათი
მაღაროელი — კახეთი
მერცხალი — სპარტაკი
გურია — ივერია
მილანი — მცხეთა
თორი — ამერი
ცხინვალი — ოლიმპი

26 ნოემბერი, პარასკევი
ვიტ ჯორჯია მ. — დინამო 2

27 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია ს. — ჩიხურა



ბორჯომი იგაზეება

ქუთაისის „ტორპედოდან“ აბარგებული გამოცდილი მცველი მიხეილ მახვილაძე ახალი გუნდის ძიებაშია. არ იყო გამორიცხული, ფეხბურთელს კარიერა უცხოეთში გაეგრძელებინა, თუმცა შევიტყვეთ, რომ მახვილაძის გადაბირებით სერიოზულადაა დაინტერესებული პირველლიგელი ბორჯომის „თორი“. ითამაშებს თუ არა ექსტორპედოელი ბორჯომში, თვის ბოლომდე გაირკვევა.

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

ქვემოზემოიმერული უყურე შენ!

ახალი სეზონის დაწყებამდე „ტორპედომ“ პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა. მისი მეტოქე პირველლიგელი საჩხერის „ჩიხურა“ იყო. თამაში გრიგოლეთში გაიმართა, სადაც ზემოიმერული კლუბი შეკრებას გადის. მატჩისას ძლიერი ქარი ამოვარდა, რამაც თამაშის ხარისხს დაღი დაასვა. შეხვედრა უმცროსლიგელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 3:1 დასრულდა. ქუთაისელთაგან გოლი გია მეგრელაძემ გაიტანა. „ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გ. გაბელია, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, კაკაშვილი, ლ. ჭელიძე, კოშკაძე, ნერგაძე, ბოლქვაძე, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე.*

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

ბადრი კბილაძის ფოტო

ზურას და შოთას კლოსი უკაპიტნებს

ეს არის ყველაზე გამოცდილი და მცოდნე

შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს ახალი რეინჯერსელი კაპიტანი ჰყავთ — 33 წლის გერმანელი მეკარე შტეფან კლოსი.

ადრეც გაუწყეთ, რომ ავსტრალიელ კრეიგ მურს „რეინჯერსის“ კაპიტნობა იმად ჩამოართვეს და ტრანსფერზე დააყენეს, რომ მურმა ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა განიზრახა, რომელიც 13 აგვისტოს იწყება, ხოლო ერთი კვირით ადრე კი შოტლანდიის ჩემპიონატის სტარტია.

„რეინჯერსის“ მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა თქვა, კლოსი იმიტომ ავირჩიეთ კაპიტნად, რომ დიდი გამოცდილება აქვს და გუნდისა ყველაფერი იცისო. კლოსი „რეინჯერსში“ ყველაზე ტიტულიანი კაცია — დორტმუნდულ „ბორუსიაში“ ბუნდესსასალათის გარდა ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოუგია.

„რეინჯერსის“ ვიცეკაპიტანი გუნდის ახალწვეული ალექს რაე იქნება. მას ინგლისური პრემიერლიგის რაგინდარა გუნდებში უთამაშია, ბოლოს კი პრემიერლიგიდან გავარდნილ „ვულვერჰემპტონში“ ბურთაობდა.

რეინჯერსულ ამბებზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჩაფრებს“ იურკას სეიტარიდისის ტრანსფერი საბოლოოდ ჩაეშალათ — ევროპის ჩემპიონთა მარჯვენა მცველმა „რეინჯერსს“ „პორტუ“ ამჯობინა და ამის გამო გლაზგოელები ახლა ტრანსფერზე დაყენებულ ჰოლანდიელ მცველ ფერნანდო რიკსენს გუნდში აბრუნებენ.

დავით თამგართაძილაძე

მაკედონიელები არენამ ჩაყლაპა

გელზენკირხენულმა „შალკემ“ 56 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით მაკედონიური „ვარდარი“ 5:0 დაამარცხა. სეზონი იუპ ჰაინკესის გუნდმა ინტერტოტოს თასით და გოლების ფოიერვერკით დაიწყო.

ჰაინკესმა „შალკე“ ტრადიციული, 4-4-2 სისტემით ათამაშა. ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ჩვეულ, მარცხენა ფლანგზე დააყენა და მან გერმანელი ჟურნალისტების ქებაც დაიმსახურა. კობის უკვე პირველსავე წუთზე შეეძლო თავისიანების დაწინაურება. მან თურქ ალტინტოპთან კედელი გაითამაშა, მაგრამ 16 მეტრიდან ბურთი კარის ბადეს გვერდიდან მოარტყა.

50-ე წუთზე ქართველმა ჯერალდ ასამოასგან მიიღო ბურთი და აილტონს გონივრულად გადააწოდა. ბუნდესლიგის წინა სეზონის ბომბარდირმა კობიაშვილის პასი გოლად აქცია და ანგარიში 3:0 გახადა.

ქართველმა ფეხბურთელმა ბოლომდე ითამაშა და „კიკერისგან“ მაღალი, 2,5 შეფასებაც დაიმსახურა. ამ მოგებით გერმანულმა კლუბმა განმეორებითი მატჩი ფორმალობად აქცია.

გელზენკირხენული კლუბი ამ შეხვედრას ახლებური ფორმით ატარებდა და სიახლე იღბლიანადაც დასცადა.

ნამატჩევს იუპ ჰაინკესმა თქვა: „გუნდი სასურველი ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ძირითადი ბირთვის თამაშით კმაყოფილი დავრჩი. „შალკეს“ გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია“.

მაკედონიელთა ბრაზილიელი მწვრთნელის როდრიგესის კომენტარი კი ასეთი იყო: „მაკედონია ფიფას რეიტინგში 92-ე ადგილზეა და ეს უფსკრულოვანი სხვაობა გუნდებს შორის ამ მატჩმაც წარმოაჩინა. ჩვენმა ფეხბურთელებმა ისიც არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ ისეთ სტადიონზე, როგორიც „შალკე არენაა“.

დავით ერაძე

შოტლანდიის ჩემპიონატი

გაცეცხლებული ქართველები სპეცრაზმით გააჩერეს

გია ჭანტურიამ მაგრად გაიწია

ქართველებით გაძეძგილმა სიმფეროპოლის „ტავრიამ“ უკრაინის ჩემპიონატი უიღბლოდ დაიწყო.: ქვეყნის პირველ ჩემპიონებს ლუცკში დაუცდათ ფეხი — „ვოლინთან“ 0:1 წააგეს.

სადღეისოდ „ტავრიაში“ ექვსი ქართველი თამაშობს — ძმები კახა და ზვიდ ჩხეტიანები, გია ჭანტურია, ზურაბ იონანიძე, ვასილ გიგიაძე და გიორგი იმედაძე. ჩვენს ყურადღებასაც „ტავრია“ ამით იმსახურებს, თუმც სიმფეროპოლში გუშინ სხვა მიზეზითაც დავრეკეთ — „ვოლინთან“ მატჩის დასრულებისთანავე გიგიაძე და ჭანტურია მასპინძელ ფეხბურთელებს შეელაპარაკნენ და დაძაბული ვითარების განმუხტვას სპეცრაზმ „ბერკუტის“ ჩარევაც კი დასჭირდა.

ერთი სიტყვით, გუშინ ზურაბ იონანიძეს დეტალების დაზუსტება ვთხოვეთ, თუმც მანამდე მისი ამბებიც მოვიკითხეთ...

— თავს კარგად ვგრძნობ. ტრავმებს არ ვუჩივი და ფორმაშიც ვარ. მართალია, სეზონი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ არა უშავს., მთავარი ბრძოლები წინაა.

— „ვოლინთან“ მატჩზე რას იტყვი?

— თანაბარი თამაში იყო. ერთი ხელსაყრელი მომენტიც მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე.

— წინა ჩემპიონატის მეორე წრე ძირითადად სათადარიგოთა სკამზე გაატარე, ბოლოსლა მოგიწია თამაშმა. ახლა სიტუაცია შეიცვალა?

— შარშან მართლა გამიჭირდა. მეორე წრეში მწვრთნელი აღარ მენდობოდა, თუმცა ბოლო ხუთი მატჩი ძირითადში ვითამაშე და, ეტყობა, ჩემით კმაყოფილნი დარჩნენ.

— „ტავრიაში“ ფინანსური მდგომარეობა თუ გამოსწორდა?

— ადრინდელთან შედარებით უკეთესი დაფინანსებაა.

— წლეულსაც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებთ?

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჩემპიონატი ხეირიანად არც დაწყებულა და ვნახოთ, რისი თავი გვექნება.

— „ვოლინთან“ მატჩს ერთხელაც დავუბრუნდეთ. თამაშის დამთავრებისთანავე გია ჭანტურიას და ვასილ გიგიაძეს ლუცკელებთან ჩხუბი მოსვლიათ...

— თქვენ რა იცით? სალაპარაკო და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

— უკრაინულ ვებ-გვერდებზე ფოტოები ვნახე, გასაშველებლად სპეცრაზმიც კი გამოუძახებიათ...

— შელაპარაკება კი იყო, თუმცა ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა.

— მსაჯებს ეკამათნენ?

— არა. თამაში რომ დამთავრდა, „ვოლინის“ ფეხბურთელებმა რაღაც შეურაცხმყოფელი თქვეს, გიამ გაიგონა და ყველაფერი ამას მოჰყვა. მცირე გაწევგამოწევა იყო, თუმცა მალე ჩაიფარცხა.

კახა შალამბერიძე

სამი ქართველი არა და არ

რუსულ პრემიერლიგაში ვლადიკავკაზის „ალანია“ მოსკოვში „დინამოსთან“ 0:1 დამარცხდა. ოსთა გუნდში ლევან გვაზავამ და მიხეილ ყაველაშვილმა შეცვლაზე ითამაშეს. გვაზავას 15 წუთი ერგო, ყაველაშვილს 27. განაცხადში ისევ არ ყოფილა ვიტალი დარასელია და, ბუნებრივია, მისი ამბითაც დავინტერესდით.

— ვარჯიშისას ისევ ფეხი ვიტკინე. — გვითხრა გუშინ ვიტალიმ. — შედარებით მძიმე დატვირთვები გვქონდა და, როგორც ჩანს, ახალტრავმამოშუშებული ბოლომდე მზად ჯერ არ ვარ. კიდევ კარგი, სერიოზული არაფერია და ხვალიდან ისევ შევუდგები ვარჯიშს — გვითხრა დარასელიამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩის პერიპეტიებზე კი *ლევან გვაზავას* ველაპარაკეთ...

— საკმაოდ კარგი თამაში გამოვიდა. მოსკოველები ახალი მწვრთნელის თავმოსაწონებლად ბოლომდე დაიხარჯნენ, მათ შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელებიც იყვნენ, ადრე ძირითადში რომ ვერ ხვდებოდნენ.

— „დინამომ“ მაგრად გაჯობათ?

— არც მთლად ასე იყო საქმე, საგოლე მომენტებით ნაღდად არ ჩამოვრჩით, მონდომება კი მათ მეტი ჰქონდათ.

— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?

— სულ 15 წუთი ვითამაშე. ამ დროისთვის „დინამო“ უკვე იგებდა და აქცენტი დაცვაზე ჰქონდა გადატანილი.

— ყაველაშვილის შესვლამ „ალანიას“ შეტევები თუ გაამწვავა?

— მიშამ ისე ითამაშა, რომ აჯობებდა, შეხვედრა ძირითადში დაეწყო. ერთი კარგი მომენტი თითქმის არაფრისგან შექმნა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე.

— დინამოელმა ოთარ ხიზანეიშვილმა როგორ ითამაშა?

— ხიზანეიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო „დინამოში“. ძალიან ჟინიანად და აგრესიულად ითამაშა.

— კურბისმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ?

— მარცხი კონკრეტულად არავისთვის გადაუბრალებია, თქვა, თამაშის ზოგი მომენტით კმაყოფილი დავრჩიო. ისე, ნამდვილად არ გაგვიმართლა. გოლი შორეული დარტყმით გაგვიტანეს, ჩვენ კი სამი ნაღდი მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

ლევან გვაზავა 90 წუთს ელის

დავით ერაძე

კოპა ამერიკა 2004 პერუ (6-25 ივლისი)

მეოთხედფინალი

ბიელსა ჯერ ცვლის, მერე ფიქრობს
ტევესი უეჭველია

პერუ 0:1 არგენტინა

0:1 ტევესი (61)

პერუ: ო. იბანიესი, გ. სალასი, აკასიეტე, რებოსიო, ვილკესი (ლა როსა 87), ხ. სოტო, სოლანო, ხაიო (ოლკესე 86), ზეგარა (პედრო გარსია 67), პალასიოსი, ა. მენდოსა

არგენტინა: აბონდანსიერი, ხ. ძანეტი, რ. აიალა, ჰაინცე, სორინი, ლ. გონსალესი, კოლოჩინი, დალესანდრო (ტევესი 58), კილი გონსალესი, ს. დელგადო (როსალესი 77), ფიგეროა (კიროგა 84)

გაძევება: აიალა (82)

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

40 000 მაყურებელი

არგენტინელთა კაპიტანმა რობერტო აიალამ ისე მოინდომა, წითელიც კი დაიმსახურა

ანდრეს დალესანდროს ნაცვლად შესულმა კარლოს ტევესმა სამ წუთში გაიტანა პირველი სანაკრებო გოლი, რომელმაც არგენტინა ნახევარფინალში გაიყვანა.

„ბოკა ხუნიორსის" 20 წლის ფეხბურთელმა საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა — ბურთი ოსკარ იბანიესის კარში ჩაასრიალა.

ამის შემდეგ არგენტინელთა კაპიტანი რობერტო აიალა გააძევეს. მან პირველი გაფრთხილება შესვენებამდე მიიღო, მაგრამ არ დაცხრა, სანამ მსაჯმა წითელი არ აუფრიალა.

პერუელებს აკლდათ მთავარმეგოლე კლაუდიო პიზარო, რომელიც მიუნხენში დასიებული თავის ქალის სამკურნალოდ წავიდა და დისკვალიფიცირებული ყმაწვილი ფორვარდი ჯეფერსონ ფარფანი.

მასპინძლებს ორი კარგი საგოლე მომენტი ტევესის გოლის შემდეგ ჰქონდათ. ნოლბერტო სოლანომ საჯარიმო დარტყმით ხარიხა შეაზანზარა, ხოლო აქედან ოთხ წუთში რობერტო პალასიოსმა ახლოდან სასწაულებრივ ააცილა.

შეხვედრის ბოლოს სოლანო მსაჯისგან პენალტს ითხოვდა. კარლოს ამარილას უმტკიცებდა, წამაქციესო, მაგრამ პარაგვაელმა არბიტრმა ყური არ უგდო.

პირველი ტაიმი უხეში და მძიმე საყურებელი გამოდგა. რობერტო აიალას გარდა, ამარილამ პერუელი ხუან იაიო და კარლოს ზეგერა გააფრთხილა.

ანდრეს დალესანდრომ მასპინძელთა კარისკენ მეცამეტე წუთზე სახიფათოდ დაჰკრა, რასაც ხავიერ ძანეტის დარტყმა და გაბრიელ ჰეინცეს თავური მოჰყვა. ლუის გონსალესის გასროლილ ბურთს მცველი გადაეღობა, ხოლო პერუელ ანდრეს მენდოსას მეკარე რობერტო აბონდანსიერიმ ორჯერ არ გაატანინა.

კარლოს ტევესი

ნამატჩევს გამარჯვებულთა თავკაცმა აღირა, კარლოს ტევესის შეშვების შემდეგ ვიეჭვე, არასწორი შეცვლა ხომ არ გავაკეთეო. „გუნდი კარგად თამაშობდა და ვიფიქრე, ხომ არ შევცდი-მეთქი, მაგრამ მართალი აღმოჩნდი. პერუელებს ძალიან კარგი ნაკრები ჰყავთ და აშკარად გაგვიჭირდა მათი ძლევა, მაგრამ გამარჯვება დავიმსახურეთ" — თქვა ბიელსამ.

მასპინძელთა მწვრთნელი პაულო აუტორი, წინა მატჩების მსგავსად, პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. ამ საქციელის გამო იგი 2000 დოლარით დააჯარიმეს. აუტორიმ მედიასთან სასაუბროდ თანაშემწე ვიქტორ ზეგარა გააგზავნა, რომელმაც მოკლედ განაცხადა: „მეტოქეს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ, საკუთარი კარის მისადგომები ამოვქოლეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ, იღბალმა გვიგანა".

კოლუმბია 2:0 კოსტა რიკა

1:0 აგილარი (41), 2:0 მორენო (45პ)

კოლუმბია: ენაო, პალასიო, ოროსკო, ა. გონსალესი, ვიქტორია, ო. დიასი, აგილარი, პატინო (ვიაფარა 83), ე. მურილიო (დ. ფერეირა 88), ტ. მორენო, ს. ერერა (ე. პერეა 74)

კოსტა რიკა: რ. გონსალესი, ა. კასტრო, ლ. მარინი, მ. რაიტი, ლ. გონსალესი, ბრისი (სენტენო 46), ბადილა, სეკეირა, კ. ერნანდესი (რ. გომესი 56), ერონი (სარობიო 61), ა. სოლისი

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

18 000 მაყურებელი

აბელის მადლი

19 წლის აბელ აგილარმა მიჯრით მეორე მატჩში გაიტანა. კოლუმბიელთა ყმაწვილკაცმა ანგარიში ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გახსნა.

აგილარმა თხუთმეტიოდე მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და მეკარე რიკარდო გონსალესი უშანსოდ დატოვა.

ამას მალე მეორე გოლიც მოჰყვა. ტრესორ მორენო საჯარიმოში გონსალესმა წააქცია და პენალტი თავად მორენომ გამოიყენა.

კოსტარიკელებს საუკეთესო საგოლე მომენტი პირველ ტაიმში ჰქონდათ. კრისტიან ბადილას დარტყმული ბურთი ხუან კარლოს ენაომ მოიგერია.

კოსტა რიკას კოლუმბიელმა მწვრთნელმა ლუის პინტომ მეორე ნახევრის დაწყებიდან თხუთმეტი წუთის განმავლობაში სამი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ გამოცდილი ვალტერ სენტენოს, რონალდ გომესისა და ალვარო საბორიოს გარჯამ გუნდს ხეირი ვერ მოუტანა.

83-ე წუთზე საბორიოს თავდაკრული ბურთი ხუან კარლოს ენაომ კარის ხაზიდან გამოაძრო. კოლუმბიამ საქმე ბოლომდე მიიყვანა და ნახევარფინალში არგენტინას შეხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

ბრონდონა მარადონას ფიფას საბჭოს სთავაზობს

ფიფას დიეგო მარადონას მკურნალობის დაფინანსება სურს და ერთ-ერთ შვეიცარიულ კლინიკაში აპირებს მის გადაყვანას.

ჟურნალისტებს ამის შესახებ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განუცხადა, რომელიც იმავდროულად ფიფას ვიცეპრეზიდენტიცაა.

დიეგო მარადონას ექიმმა, ალფრედო კაემ კი თქვა, რომ ფიფადან არავინ დამკავშირებია, მაგრამ ერთ-ერთი შვეიცარიული ფირმიდან მიწვევა მივიღეთ, ისინი მარადონას მკურნალობას სთავაზობენო.

ექიმს თურმე კუბის საელჩოდანაც არაერთხელ დაურეკეს. ფიდელ კასტრო არგენტინელს კვლავ ეპატიჟება თავის სამშობლოში, სადაც მარადონა 2000-2001 წლებშიც იკურნებოდა ნარკომანიისგან.

ამჟამად დიდი არგენტინელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია. ალფრედო კაე თავად ვერ გადაწყვეტს, სად გააგზავნოს პაციენტი, რადგან ეს მარადონას მშობლების საქმეა, რომლებსაც არ სურთ, რომ შვილი არგენტინიდან ევროპაში გაუშვან.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იუვენტუსის“ მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა — ასეთია ტურინელთა ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს განაცხადი. მოგეხსენებათ, წინა სეზონში „შავ-თეთრებმა“ ვერანაირი ჯილდო ვერ მოიგეს, რაც ამ თავმოყვარე გუნდისთვის აშკარა წარუმატებლობაა და ამიტომაც გახლავთ ახალ ხელმძღვანელთა რეაქცია ასეთი მძაფრი და კატეგორიული

რა მოიგო რეალმა? რას მოიგებს მილანი?

კაპელომ ბერლუსკონის ეჭვით შეხედა

ფაბიო კაპელო და „იუვენტუსის“ ახალწვეულები

„ჩემპიონთა ლიგა ყოველთვის მთავარია. სკუდეტო მხოლოდ იმის შემდეგია — გულწრფელად უთხრა კაპელომ „გაძეტა დელო სპორტს“ — და ვინ იქნება ევროპაში ჩვენი მთავარი კონკურენტი? ყველაზე მეტად მადრიდის „რეალის“ ხელახლა გაძლიერებას ველი. „რეალი“ მომავალ სეზონში საუკეთესო ფორმაში იქნება“.

„იუვენტუსმა“ შეკრება ორი კვირაა, რაც დაიწყო, შაბათს კი გუნდს ის ფეხბურთელებიც შეუერთდნენ, რომლებიც ევრო 2004-ზე დაიღალნენ და ამიტომ შვებულება ახლაღა ჰქონდათ.

კაპელოს ჰკითხეს, რას ელის მომავალ სეზონში კაპიტნისგან, ალესანდრო დელ პიეროსგან, რაზეც მან უპასუხა:

„მისგან ისეთი — მეტი ან ნაკლები — რასაც სხვა ფეხბურთელებისგან არ ველი, არაფერი მინდა. ფეხბურთი ისეთი თამაშია, სადაც გუნდი იმარჯვებს“.

გარდა ამისა, კაპელომ განაცხადა, რომ ჯანლუკა ძამბროტას მარცხენა მცველად უპირებს დატოვებას, ხოლო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონისგან ძალიან ბევრს ელის.

„ძამბროტა ევროპაში საუკეთესო მარცხენა მცველად ჩამოყალიბდა და ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის ფეხბურთელი იქნება. რაც შეეხება ბუფონს, მინდა ზოგადად განვაცხადო, რომ მეკარე ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავდამსხმელი. ვფიქრობ, ბუფონი საგანგებო მოთამაშეა, რადგან მისი თვისებები და ოსტატობა საშუალებას მოგვცემს, წინ მშვიდად ვითამაშოთ“.

და ბოლოს, კაპელომ ეჭვის თვალი თვით „მილანის“ შეფს, ადრიანო გალიანის შეჰბედა (გალიანის მიღმა კი, მოგეხსენებათ, მთლად იტალიის პრემიერი და მილანელთა პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონია). კერძოდ, გალიანიმ განაცხადა, რომ ამ ზაფხულს ჩინებული სატრანსფერო კამპანია მოაკვარახჭინეს და ამიტომ კიდევ უფრ გაძლიერებული ჩემპიონი მომავალ სეზონში აბსოლუტურად ყველაფერს მოიგებს.

„ლოგიკით, შარშან ყველაფერი მადრიდის „რეალს“ უნდა მოეგო — თქვა კაპელომ — მაგრამ ყველამ ვნახეთ, რომ მადრიდელებმა საერთოდ ვერაფერი მოიპოვეს. რაც საყოველთაოდ ნათელს ხდის, რომ სპორტი საკმაოდ რთული სფეროა“.

პაპუნა კედია

ჭაბათის სიგიჟე

ჯალოროსი და დე როსი დაძმობილდნენ

„რომამ“ განაცხადა, რომ ანტონიო კასანოს მადრიდის „რეალს“ არავითარ შემთხვევაში არ მიჰყიდის, ხოლო ახალგაზრდა და იმედისმომცემი დანიელე დე როსი ახალი კონტრაქტის ხელმოსაწერად „ამზადებს კალამს“.

საქმე ის არის, რომ კასანოსა და „რეალის“ შესაძლო შეყრაზე ჯერ კიდევ ევრო 2004-მდე ითქვა, ხოლო ამ დღეებში იტალიაში გავრცელდა ხმა, რომ გარიგებას წინ, ფაქტობრივად, არაფერი უდგას, მაგრამ „ჯალოროსიმ“ ჭორები უარჰყო.

„ყველაზე ტაქტიანი გზა გავრცელებული ჭორების გასაბათილებლად იმის განცხადებაა, რომ ეს ჭორები სიგიჟეა და მეტი არაფერი — თქვა კლუბის დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ — ვიმეორებ, ეს იმდენად გიჟური ჭორებია, რომ მათზე კომენტარს აზრიან საქმედ არც კი მივიჩნევ. კასანოს თემა „რომასა“ და „რეალის“ ურთიერთობებში არასდროს წამოჭრილა. ერთადერთი, რაზეც ჩვენ მადრიდელებს გავესაუბრეთ, ემერსონის საკითხი გახლავთ. მათ აინტერესებდათ, რამდენად შესაძლოა ბრაზილიელი ნახევარმცველის ჩვენგან ყიდვა“.

ხოლო დე როსი, რომელმაც „რომას“ ძირითადში ზემოხსენებული ემერსონი უნდა შეცვალოს — მოგეხსენებათ ემერსონი „იუვენტუსთან“ არის დაკავშირებული — თავის გუნდთან ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადება. მზადდება ხელშეკრულება, რომელიც იტალიის 21-წლამდე ნაკრების მოთამაშეს კლუბთან 2009 წლამდე შეკრავს. ამბობენ, რომ „ჯალოროსი“ დე როსისთან ხელშეკრულების გაფორმების ოლიმპიადამდე ჩქარობს, რადგან ოლიმპიადაზე ფეხბურთელმა შეიძლება თავი გამოიჩინოს და სხვა მდიდარმა კლუბებმაც დაიწყონ მისი დაინტერესება.

პაპუნა კედია

ჯანფრანკო ძოლა „კალიარიში“ თამაშს მოახლოებულ სეზონშიც აპირებს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბი მას პატივს სცემს. ახლა გთხოვთ, სიტყვა პატივისცემა მაღარიჩის მნიშვნელობით არ გაიგოთ, ამ სიტყვას უფრო ადრინდელი და ნამდვილი მნიშვნელობაც აქვს — ადამიანისადმი ღირსეულად მოპყრობას ნიშნავს

გაიგეთ ხალხო, პატიოსანი ვარ!

ძოლა კალიარისგან პატივისცემას ითხოვს

საქმე კი ის არის, რომ 38 წლის ძოლას, რომელმაც გასულ სეზონში „კალიარის“ აღზევებაში უდიდესი როლი ითამაშა, კლუბთან, ცოტა არ იყოს, ურთიერთობა აერია.

„ბოლო დროს უამრავი რამ თქვეს, ხალხმა კი სიმართლე უნდა იცოდეს და იცის კიდეც — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელსაც ამ წუთას „კალიარისთან“ კონტრაქტი აღარ აკავშირებს — მე მინდა ფეხბურთი კიდევ ერთი სეზონის განმავლობაში ვითამაშო და ეს „კალიარის“ შემადგენლობაში მოხდეს, მაგრამ რა მოხდა დღეს ჩემთვის უცნობია“.

ძოლა და მისი აგენტი ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტ მასიმო ჩელინის შეხვდნენ და ნათლად უთხრეს თავიანთი სატკივრის ამბავი.

„მე ვუთხარი, რომ მას პატიოსან ადამიანთან აქვს საქმე და ამას უნდა შეეგუოს — თქვა ძოლამ — სულ არ მსურს, ვინმეს თავი მოვაბეზრო და ჩემი თავი მივაძალო. თუ ჩელინის ჩემი თამაში სჭირდება, ძალიან მარტივი რამ უნდა გააკეთოს, ჩემს აგენტს უნდა დაურეკოს. იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება.

ვიმეორებ, ჩემი სურვილი მოახლოებულ სეზონში აქ თამაშია, რადგან ჩემმა ოჯახმა სარდინიაში გადაწყვიტა ბინის დადება. ერთი სიტყვით, „კალიარიში“ ყოფნა მსურს, მაგრამ სანამ ამის შესახებ კონტრაქტი გაფორმდება, კალიარელებმა უნდა გაიგონ, ვინ ვარ. მე ვარ პრინციპების მქონე ადამიანი და ამ პრინციპების ღალატს არ ვაპირებ“.

ამასთან, ძოლამ დასძინა, რომ არც ერთ სხვა კლუბთან არ აწარმოებს მოლაპარაკებებს.

პაპუნა კედია

ირლანდია
პრემიერლიგა. XXI ტური
დერი სიტი 1:0 შემროკი

ხორვატია
სუპერთასი
ჰაიდუკი 1:0 დინამო
1:0 ბლატნიაკი (49)

აშშ
MLS. XVII ტური
კოლამბუსი — ნიუ ინგლანდი 1:1; ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი 1:1; დალასი — კანზასი 0:1; ჩიკაგო — ნიუ იორკი 1:1; სან ხოსე — კოლორადო 3:1

ამხანაგური მატჩები

ბეშიქთაში — მიუნხენი 2:1; რიდი — ბაიერნი 0:1; ბრიუგე — ცრვენა ზვეზდა 1:3; ჰოფენჰაიმი — ფრაიბურგი 2:0; არმინია — ტრაბზონსფორი 1:3; ტიროლი — შტუტგარტი 0:5; ჰერტა — ბრონდბიუ 2:0; ლევერკუზენი — აინტრახტი 2:2; ოქსფორდი — ჩელსი 1:1; ბარნეტი — არსენალი 1:10; ვერდერი — ცრვენა ზვეზდა 2:2; ლიუბეკი — ჰანზა 2:2; ბოხუმი — სპარტა 1:3; პაოკ — ბასტია 0:1; გრაცერი — რომა 0:1; სარაგოსა — მარსელი 0:0; სტრასბური — სოშო 1:2; ოსერი — შარლერუა 3:1

მე ვპარ ერთი ციდა, ოქროს ბურთი სხვისთვის ვინდა

„მილანის“ ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა ამბობს, რომ მომავალ სეზონში იტალიის ჩემპიონობაც აქვს გულში ამოჭრილი და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც, მოგეხსენებათ, ნიჭით შემკული ბრაზილიელი გასულ, მისთვის სადებიუტო სეზონში სკუდეტოს მფლობელი გახდა და სახელიც გვარიანად გაითქვა — და ახლა მეტის მოლოდინშია

„ყაფელაფრის მოგება მინდა, მაგრამ ჩემს ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ჯერ ბევრი რამ უნდა ვისწავლო. ვიცი, რომ მომავალი სეზონი წინაზე გაცილებით ძნელი იქნება, რადგან ახლა უკვე ნებისმიერი მოწინააღმდეგე იცნობს ჩემს სტილს, დადებით და უარყოფით თვისებებს. ყველაფერს ახალი პასუხისმგებლობაც დაამძიმებს, მაგრამ ეს პასუხისმგებლობები იმავდროულად ახალი სტიმულიც იქნება“.

საყოველთაო აზრით, კაკა გასული სეზონის ყველაზე დიდი აღმოჩენა გამოდგა, რადგან მსოფლიოს ყველაზე მძიმედაცვიან ლიგაში დიდი სიმსუბუქით პირველსავე წელიწადს გაითქვა სახელი. დღეს ბევრნი უკვე მის პირად ლაურეატობასაც ითხოვენ, თუმცა თავად სხვებს „უწყობს“ საქმეს.

„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი რომელიმე თანაგუნდელი — შევა ან მალდინი — მოიპოვებს „ოქროს ბურთს“. რაც შემეხება მე, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რას გავაკეთებ მოედანზე და „მილანი“ რა წარმატებებს მიაღწევს.

პაპუნა კედია

გადაზრდილთა ტრიო



პელიცოლიმ, პირლომ და ფერარიმ ათენისკენ გაიხედეს

ანდრეა პირლო, მატეო ფერარი და ივან პელიცოლი ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან. ეს სამი ცნობილი ფეხბურთელი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა კლაუდიო ჯენტილემ საბოლოოდ შეიყვანა განაცხადში.

გარდა იმისა, რომ ეს სამეული ცნობილი ფეხბურთელებისგან შედგება, ეს გახლავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ნებადართულ გადაზრდილთა, უფრო კორექტულად კი, 21 წელს გადაცილებულთა ტრიო. ჯენტილემ ხსენებული სამეულის ავან-ჩავანი ძალიან კარგად უწყის, რადგან ადრე სამივენი მის ხელში იყვნენ ახალგაზრდულ ნაკრებში.

მამ ასე, ათენში იტალიელების გუნდს გამთამაშებლად მილანელი პირლო ეყოლება, პარმელი ფერარი ცენტრალური მცველის როლს შეასრულებს, ხოლო „რომას“ პელიცოლი მეკარეა და შესაბამისად კარში დადგება კიდეც.

ზოგადად კი, ჯენტილეს შემადგენლობაში სიურპრიზები ნაკლებად არის. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სასურველი მოთამაშეებიდან არ არიან პარმელი პაოლო კანავარო, ბრეშელი ანდრეა კარაკიოლო, პალერმოელი კრისტიან ძაკარდო და მატეო ბრიგი „იუვენტუსიდან“.

იტალიის ოლიმპიური ნაკრები შეკრებას 2 აგვისტოს იწყებს, ხოლო ცხრაში საბერძნეთს მიემგზავრება.

„აძურინისთან“ ერთად ჯგუფში არიან განა, პარაგვაი და იაპონია.

პაპუნა კედია

ხავიერ ჩევანტონი ამბობს, რომ სერია A-დან საფრანგეთის ჩემპიონატში გადასვლა ჯერ ერთი „მონაკოს“ სიდიადემ და მეორეც მისი მწვრთნელის დიდიე დეშანის ფაქტორმა გადაწყვეტინა

წინ დიდიე ამბები მელის

ჩევანტონი დეშანს გაეკიდა

ხავიერ ჩევანტონი „მონაკოში“ ითამაშებს

ჩევანტონი, მოგეხსენებათ, ურუგვაელია, რომელიც აქამდე იტალიურ „ლეჩეში“ გამოდიოდა. ახლა ის „მონაკოს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯავს ძალას.

„მონაკო, იმიტომ ავირჩიე, რომ დიდი გუნდი ჰყავს და ამ გუნდს დიდი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. დეშანს ფეხბურთში რისი მოგებაც შეიძლება, ყველაფერი აქვს მოგებული — უთხრა თავდამსხმელმა გაზეთ „ეკიპს“ — ხალხი „მონაკოზე“ ბევრ საინტერესო ამბავს მიამბობს. გარდა ამისა, ორი კვირის წინ დიდიესთან სატელეფონო საუბრის საშუალება მომეცა და იმ საუბარმა საბოლოოდ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში.

ვამაყობ „მონაკოში“ რომ გადავედი. აქ დეშანის ხელმძღვანელობით სწავლის საშუალება მომეცემა. ბევრს ვისწავლი თანაგუნდელებისგანაც. მინდა სულ ვაუმჯობესო და ვაუმჯობესო ჩემი ოსტატობა, მინდა ტიტულები მოვიპოვო.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, წინ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები. ესეც არ იყოს, ჩემთვის იტალიური ჩემპიონატში უკვე ყველაფერი ნათელია, საფრანგეთში კი ახალი გზა მოცდილება მელის“.

პაპუნა კედია

ნუ ზლატანობთ!

... და აიაქსი არ ვიცი ასე რამ შემაყვარა

ამსტერდამის „აიაქსის“ თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი დარწმუნებულია, რომ დიდიე დროგბას ადგილის დასაკავებლად „მარსელის“ გზას არ დაადგება.

მოგეხსენებათ, სპილოს ძვლის ნაპირელი დროგბა მომავალ კვირაში სავარაუდოდ „ჩელსიში“ გადავა — რითაც „მარსელი“ ბუნებრივია, ძალიან იხეირებს — და ფრანგთა გუნდს მისი შემცვლელი დასჭირდება. ამ თემაზე საუბრისას, ბოლო დღეებში, დროგბას ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად სწორედ შვედი დაასახელეს.

მაგრამ იბრაჰიმოვიჩმა, როგორც მოგახსენეთ, „მარსელის“ გაგონებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და დასძინა, რომ „აიაქსში“ თავს ბედნიერად გრძნობს.

„ჩემს კონტრაქტს ამსტერდამელებთან კიდევ ორი წელიწადის განმავლობაში ექნება ძალა და ამ დროის გატარებას სწორედ ამსტერდამში ვაპირებ — თქვა შვედმა — სხვა არაფერი გამიგონია“.

ფრანგული პრესა კი სხვადასხვა ვარიანტებს განიხილავს. ისიც ითქვა, რომ დროგბას ადგილი შეიძლება ჩეხმა იან კოლერმა დაიკავოსო. მოგეხსენებათ, კოლერი გერმანული ბუნდესლიგის მონაწილეა, „დორტმუნდში“ თამაშობს.

პაპუნა კედია

მსოფლიო ფეხბურთის შეფმა, ზეპ ბლატერმა ევროპულ კლუბებს აზიური ლიგების განვითარებაში წვლილის შეტანა სთხოვა — ბლატერი მიიჩნევს, რომ ევროპელებმა აღმოსავლეთში ფეხბურთელები უნდა გააგზავნონ

ფული აზიაში იშოვნეთ

ბლატერის რეკომენდაცია: სავიოლა შანხაი შენხუაში, სოლარი ალ იტიჰადში

„ფეხბურთელების მიგრაციამ მართულება უნდა იცვალოს“ — უთხრა ბლატერმა სააგენტო AFP-ს კორესპონდენტს — ევროპაში კლუბებს ჭარბად ჰყავთ ფეხბურთელები და კარგი იქნება, თუ ამ ფეხბურთელებს ჰორიზონტს გამოუცვლიან. ისინი თავიანთ ფულს აზიაში ალალად იშოვნიან.

ამ ეტაპზე ყველაფერი ევროპაზია თავმოყრილი. ყველას ევროპაში სურს თამაში, რაც შეიძლება ჰეიცვალოს. აფრიკის ამბავი გასაგებია, იქ ეკონომიკა განუვითარებელია, მაგრამ აზიაში, კერძოდ კორეაში, იაპონიასა და ჩინეთში ხომ დიდძალი ხელფასების შოვნაა შესაძლებელი.

თანაც, მე არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც კარიერას ასრულებენ. ვგულისხმობ ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებიც სარბიელზე ახლა გამოდიან.

მაგალითისთვის „მილანი“ განვიხილოთ. ამ გუნდში 45 ფეხბურთელი ირიცხება და მათგან მხოლოდ 30 გადის სეზონის განმავლობაში მოედანზე. არ მესმის იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც სკამზე ვჯდომით კმაყოფილდებიან. ისინი წელიწადში სულ ოთხ-ხუთ მატჩში იღებენ მონაწილეობას და ფულს ასე გამოიმუშავებენ.

ევროპული ფეხბურთის საყოველთაო გავლენამ აზიის ბევრ ქვეყანაში ტიპიური სურათი მოგვცა. მაგალითად, პეკინში ხშირად შეხვდებით ევროპული კლუბის მაისურაში გამოწყობილ ახალგაზრდას, ვთქვათ, „ბარსელონას“, კერძოდ კი, სავიოლას მაისურიან ჩინელს“.

„მაგრამ წარმოიდგინეთ, სავიოლა ბულ მთლად აზიაში რომ თამაშობდეს. ეს ხომ აზიელებისთვის დიდებული იქნებოდა — განაგრძნობს ფიფას პრეზიდენტი — და მშვენიერი იქნებოდა თავად ფეხბურთელისთვის, რომელიც აზიაში მხოლოდ საჩვენებელ შოუებზე არ ივლიდა“.

შემდეგ ბლატერი ამბობს, რომ ამ თემის დამუშავებას ფიფას აღმასკომთან ერთად შეეცდება, მაგრამ ყველაფერზე კარგი და სწორი მაინც ევროპული ლიგების და კლუბების კეთილი ნება იქნებოდა.

„ძალიან მაინტერესებს, როგორ ითამაშებენ აზიური ნაკრებები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც აზიიდან შორს, ევროპაში ტარდება. ორი წლის წინ, იაპონიასა და კორეაში, ამბობენ, რომ ქომაგების დიდებული მხარდაჭერის გამო მასპინძელთა ნაკრებები ზედმეტი ფეხბურთელებით იყვნენ მოედანზე. მე ვფიქრობ, რომ უფრო ხმაურიანი კორეელები 13, ხოლო შედარებით მშვიდი იაპონელები 12 კაცით თამაშობდნენ“ — იხუმრა პრეზიდენტმა.

რაც შეეხება 2004 წლის ევროპის ჩემპიონატს, უფრო სწორად კი საჭირბოროტო საკითხს: რატომ გახდნენ ჩემპიონები ბერძნები, იმიტომ, რომ დიდი ქვეყნების ფეხბურთელები საკლუბო სეზონის შემდეგ დაღლილები იყვნენ — მასზე ბლატერმა ასე უპასუხა:

„არა მგონია, დაღლა რაიმე შუაში იყოს. ჩვენ უბრალოდ ფეხბურთის მთელ მსოფლიოში განვითარების 25-წლიანი გეგმის შედეგი ვნახეთ. თანამედროვე ფეხბურთში ყველა ყველას ამარცხებს. ჩვენ ამის დასტური ახლახან პორტუგალიაში ვნახეთ და 2006 წელს გერმანიაშიც ვნახავთ“.

პაპუნა კედია

აზიური კლუბები, ცხადია, არც ტიერი ანრიზე იტყოდნენ უარს

თუ პატრიკს ...

არადა, ვენგერს ... რეალისთვის არ ეთმობა

ლონდონური „არსენალის“ მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა ინგლისურ სპორტულ მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ გუნდის ფრანგი კაპიტანი პატრიკ ვიეირა მადრიდის „რეალისთვის“ არანაირ თანხად არ ეთმობა, თუმც იქვე დაამატა, თუ ფეხბურთელი თავად ისურვებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგებას, ლონდონური კლუბი მის სურვილს წინ არ აღუდგება.

BBC-თან ინტერვიუში არსენ ვენგერმა მადრიდელთა ვიეირასადმი დაინტერესება დაადასტურა. თუმცა ისიც თქვა, რომ ოფიციალურ დონეზე ესპანეთიდან შემოთავაზება არ ყოფილა: „ჩვენ „რეალიდან“ ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია. ასეც რომ იყოს, „არსენალი“ ბაზარი არ გახლავთ, სადაც ნებისმიერ დროს შეგიძლია რომელიმე ფეხბურთელი იყიდო. „ჰაიბერიზე“ ბანკში მილიონების ქონას, მოედანზე ვარსკვლავების ყოლას ანიჭებენ უპირატესობას“.

„იმ შემთხვევაშიც, თუ მადრიდელები ვიეირას სანაცვლოდ 20-დან 30-მდე მილიონ გირვანქას შეგვთავაზებენ, მაინც უარს ვიტყვით. „არსენალისთვის“ ის ფასდაუდებელი ფეხბურთელია. ამჟამად მასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, ოღონდ ამ შეხვედრის დეტალებს ვერ გაგიმხელთ, რადგანაც წესად არ მაქვს პრესას ჩემი მოთამაშეების ნათქვამები ვუთხრა“ — განაცხადა მწვრთნელმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვენგერი ეტყობა, „მეთოფეთა“ ნახევარმცველის „ჰაიბერიზე“ ასპროცენტიან დარჩენაში მთლად ვერ არის დარწმუნებული. „თუ ვიეირა თავად მოინდომებს წასვლას, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით“ — ნათქვამია ინტერვიუს დასასრულს.

ლადო ხომერიკი





მორჩა ზზ-ნი?

დომენეკი ძველებს ახალ სიტყვას ეტყვის

საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი „ლურჯების“ ვეტერან ფეხბურთელებთან აპირებს საუბარს. მას აინტერესებს, სურთ თუ არა ვეტერანებს უმაღლესი დონის ფეხბურთთან ჭიდილი მომავალშიც.

გასაგებია, ვისზეც არის საუბარი. ფაბიენ ბარტეზს, ლილიან ტურამს და ზინედინ ზიდანს კარიერა, ბუნებრივია, უკვე მოლეული აქვთ და წინ რამდენიმე წელიწადიღა დარჩათ საბურთაოდ, ხოლო მარსელ დესაიმ უკვე ოფიციალურად დაასრულა სანაკრებო კარიერა.

ზიდანი განსაკუთრებული თემაა — ბოლო ათწლეულის განმავლობაში იგი „ლურჯების“ მზიდი ბოძი, საყრდენი ქვა იყო, სწორედ მისი დიდი ნიჭის გარშემო შემოწყობილმა სხვა დიდოსტატთა ნიჭმა და უნარმა მოუტანათ ფრანგებს 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონის ტიტულები.

ამბობენ, რომ დომენეკი ამიერიდან ძირითად აქცენტს საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებზე გააკეთებს.

პაპუნა კედია

რუსეთი

პრემიერლიგა. XVII ტური

დინამო 1:0 ალანია

1:0 იაშინი (69)

დინამო: ბერეზოვსკი, ხიზანეიშვილი, ბატაკი, ტანასიევიჩი, მენდი, შუპარდი (მიხაილოვი 68), ტოჩილინი, იაშინი, პოლოვინჩუკი, პროხორენკოვსი (ჰანეკი 83), მურიგინი (დე სოუზა 53)

ალანია: ხომიჩი, აგაევი, ბრაბეცი, ვარზიევი, დროზდოვი, რიველინო (გვაზავა 70), იანოვსკი (სმირნოვი 81), ბაზაევი, კორიტკო, კუსოვი (ფაველაშვილი 62), ოგანიანი

ტორპედო 0:1 ცსკა

0:1 ოლიჩი (39)

კრილია 2:1 ყუბანი

1:0, 2:0 პოშკუსი (41, 50), 2:1 ტლისოვი (63)

ზენიტი 0:2 ლოკომოტივი

0:1 სიჩოვი (17), 0:2 პიმენოვი (90)

ამკარი 1:1 სატურნი

1:0 პიატიბრატოვი (38პ), 1:1 მედვედევი (59)

რუბინი 1:1 როტორი

0:1 ესიპოვი (25), 1:1 ირჟი ნოვოტნი (48)

ცსკა-ს ვალერი გაზაევი

ვალერი გაზაევს თავი ფორთოხლად მოაქვს

დაუბრუნდა, რომელმაც არტურ ჟორჟუ შეცვალა და გაზაევის თავკაცობით არმიელებმა პირველივე მატჩში „ტორპედოს“ მოუგეს.

„ვფიქრობ, რომ გულშემატკივრებმა ღირსეულად მიმიღეს. ზოგს ფორთოხალი მოსწონს, ზოგს კი ფორთოხლის ყუთი“ — თქვა ნამატჩევს ახალმა მწვრთნელმა.

გუნდების შეხვედრა პირველ წრეში 3:3 დასრულდა. მაშინ „ტორპედომ“ სამ წუთში სამი გოლის გატანა შეძლო, ამჯერად კი 90 წუთში ერთიც ვერ შეაგდო.

შესვენებამდე პანოვმა სამი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდა. მეტოქე ცსკა-ს ლეგიონერმა ოლიჩმა დასაჯა. ჟირკოვმა მარჯვენა ფლანგიდან კარის წინ ჩააწოდა და ოლიჩს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

ამის შემდეგ ალდონინმა ოციოდ მეტრიდან გაისროლა — ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ნახევარში „ტორპედო“ გათანაბრებას ამაოდ ეცადა, ცსკა კი კონტრშეტევებზე გადაეწყო.

სერგეი სემაკი „ტორპედოს“ მეკარე ბოროდინს საჯარიმოში შეეჯახა და მსაჯმა საკმაოდ საეჭვო პენალტი დანიშნა — ოლიჩმა ბურთი ძელს შეაწყვიტა.

შეცვლაზე შესული კირიჩენკოს ათიოდ მეტრიდან დარტყმული ბოროდინმა მოიგერია, ხოლო ტორპედოელმა როვნეიკომ კარის ჩარჩო შეაზანზარა.

შეხვედრის ბოლოს მეკარე ბოროდინიც კი ჩაერთო შეტევაში და ნაკუთხურალი ბურთი ოსიპოვს თავით დაუგდო, მაგრამ ოსიპოვმა უხეიროდ დაჰკრა.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ შინ ქულაც რომ აეღო, პირველ ადგილზე გადავიდოდა, მაგრამ ნევისპირელები „ლოკომოტივთან“ დამარცხდნენ.

„ლოკომოტივი“ — „ზენიტის“ მოსკოვური მატჩი სტუმრებმა 1:0 მოიგეს. მაშინ სერგეი ოვჩინიკოვს პეტერბურგელთა მეორე მწვრთნელთან შეხლა-შემოხლის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაჰკიდეს.

„ლოკოს“ შემადგენლობაში „რომადან“ შეძენილი ბრაზილიელი მცველის, ფრანსისკოს ლიმას დებიუტი შედგა, რომელიც მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და მისი შეცდომის გამო „ზენიტმა“ კინაღამ გოლი გაიტანა.

სტუმრებმა ანგარიში პირველ ნახევარში გახსნეს. დმიტრი ლოსკოვის ზასით სიჩოვმა ისარგებლა და მალაფეევს გაუტანა.

მოსკოველებს უმალ მეორის გატანაც შეეძლოთ. უინსტონ პარკსმა მცველს ბურთი წაართვა, მაგრამ დასარტყმელად ფეხმოქნეულ კოსტარიკელს მალაფეევმა ხელი შეუშალა.

შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე ზენიტელმა ბისტროვმა ხელსაყრელი ეპიზოდი ვერ გამოიყენა — მისი დარტყმული ძელს მოხვდა. ნევისპირელებმა მაინც გაიტანეს, მაგრამ არშავინის გოლი თამაშგარის გამო გააუქმეს.

მეორე ტაიმში მასპინძელთა ჩეხმა მწვრთნელმა ვლასტიმილ პეტრჟელამ ორი ფეხბურთელი შეცვალა. ვლასოვმა და რადიმოვმა „ზენიტის“ შუახაზი შედარებით გააძლიერეს. არშავინისა და ვლასოვის თითო დარტყმული ოვჩინიკოვმა მოიგერია, ბოლო წუთზე კი კვლავ ლოსკოვის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა პიმენოვმა მეორე გოლი გაუტანა მასპინძლებს.

მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელის შეცვლამ უშველა — ვიქტორ ბონდარენკოს თავკაცობით დინამოელებმა პირველივე მატჩი მოიგეს და მეათე ადგილზე გადავიდნენ.

ბონდარენკომ ორი ლეგიონერი — ზბონჩაკი და ვლჩეკი — „დინამოს“ ყოფილ ჩეხ მწვრთნელ გჟებაკს გააყოლა. ამასთან, მოსკოველებმა ლატვიელი ფორვარდი ანდრეის პროხორენკოვსი და ბელარუსელი მაქსიმ რომაშჩენკო დაიმატეს.

ვლადიკავკაზის „ალანიას“ შემადგენლობაში შეცვლაზე ითამაშა მიხეილ ყაველაშვილმა, რომელიც 1995 წელს ამ გუნდში რუსეთის ჩემპიონი გახდა.

მატჩი უსახური გამოდგა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მეტოქის კარის ჩარჩოში ბურთი ერთხელაც ვერ მოარტყეს, „ალანიამ“ კი ეს მხოლოდ ორჯერ შეძლო.

დინამოელთაგან გოლი იაშინმა გაიტანა — მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შეიწია და სტუმართა მეკარეს მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა.

სამარაში „კრილია სოვეტოვმა“ მეექვსე საშინაო მატჩი მოიგო.

ლიტველმა რობერტას პოშკუსმა პირველი ნახევრის ბოლოს და მეორის დასაწყისში თითო გოლი შეაგდო კრასნოდარელი სტუმრების კარში, ხოლო მეკარესთან პირისპირ გასულმა ტლისოვმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

სტუმართა მწვრთნელმა, საფერბიე ეშუგოვმა ნამატჩევს დაიჩივლა: „მსაჯმა ორჯერ დაგვჩაგრა. პოშკუსის მეორე გოლამდე ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა არ დანიშნა, შემდეგ კი პენალტიც არ მოგვცა“.

ვაჟა ხუციშვილი

ტორპედო	17	10	4	3	31:15	34
ზენიტი	17	10	3	4	32:23	33
ლოკომოტივი	16	9	4	3	23:11	31
კრილია	17	9	4	4	29:26	31
ცსკა	17	8	7	2	28:15	31
სატურნი	17	4	10	3	19:15	22
რუბინი	17	4	8	5	18:17	20
ამკარი	17	4	8	5	13:21	20
ალანია	16	5	4	7	16:20	19
როსტოვი	16	5	4	7	19:24	19
დინამო	17	4	7	6	17:19	19
შინიკი	15	4	6	5	9:13	18
მოსკოვი	15	4	5	6	16:18	17
სპარტაკი	14	4	3	7	22:26	15
ყუბანი	17	2	7	8	15:25	13
როტორი	17	1	4	12	16:35	7

არმიელთა გამარჯვების გოლი ივიცა ოლიჩისა იყო

ინტერტოტოს თასი 2004

III ეტაპი. I მატჩები

თუნი (შვეიცარია)	2:2	ჰამბურგი (გერმანია)
შინიკი (რუსეთი)	1:4	ლეირია (პორტუგალია)
შალკე (გერმანია)	5:0	ვარდარი (მაკედონია)
ლიბერეცი (ჩეხეთი)	1:0	როდა (ჰოლანდია)
სლავენი (ხორვატია)	0:0	ტრნავა (სლოვაკეთი)
ლილი (საფრანგეთი)	2:1	დინამო (მინსკი, ბელარუსი)
ზლინი (ჩეხეთი)	2:4	ატლეტიკო (ესპანეთი)
გენკი (ბელგია)	0:1	დორტმუნდი (გერმანია)
ვილიარეალი (ესპანეთი)	1:0	სპარტაკი (რუსეთი)
ვეტრა (ლიტვა)	1:1	ესბიერგი (დანია)
ნანტი (საფრანგეთი)	3:1	კორკ სიტი (ირლანდია)
ტამპერე (ფინეთი)	0:0	ოფკ (სერბეთი)

ნანტი — კორკ სიტი. ირლანდიელებს ერთი გოლი ფრედერიკ და როშამაც გაუტანა

შვეიცარია

სუპერლიგა. I ტური

ბაზელი 6:0 აარაუ

1:0 მ. იაკინი (20), 2:0 სმილიანიჩი (38), 3:0 კ. ხიმენესი (45), 4:0 კანტალუპი (53), 5:0 მორეტო (62), 6:0 ჩიპერფილდი (74)

გრასჰოპერი 1:1 ციურიხი

1:0 მუფი (9), 1:1 გიგაქსი (11)

შაფჰაუზენი 1:1 ძსამაძსი

1:0 სენი (34), 1:1 მფუტი (61)

სენტ გალენი 3:3 იანგ ბოისი

0:1 ჰებერლი (39), 0:2 ფ. ნერი (51), 1:2 მერენდა (60), 2:2 მონტანდონი (65), 3:2 მერენდა (76), 3:3 კარენიო (90)

თუნი — სერვეტი

20 ივლისს გაიმართება

შვედეთი

სუპერლიგა. XIV ტური

ვასტერასი — ბოდენი 4:1; ფალკენბერგი — ატვიდაბერგი 1:4; გაის — გეფლე 1:4; იოსტერსი — ენჩიოპინგი 1:1

ნორვეგია

I დივიზიონი. XVII ტური

ალესუნდი — სკეიდი 3:0; ბრინი — ჰიოდი 2:1; ჰიონეფოსი — ბორს გრენლანდი 4:0; კონგსვინგერი — სტრიომსგოდსეტი 2:0; მოსი — ჰაუგესუნდი 2:3; სანდეფიორდი — ტრომსდალენი 2:1; ვარდ ჰაუგესუნდი — რაუფოსი 4:3; სტარტი — მანდალი 0:0

ბრაზილია

სერია A. XVI ტური

კრისიუმა — ატლ. მინეირო 4:2; ინტერნასიონალი — ატლ. პარანენსე 6:0; ფლამენგო — ფუტებოლი 0:1; ფლუმინენსე — სანტოსი 1:0; ვიტორია — კორინთიანსი 1:1; გოიასი — გუარანი 2:0; პონტე პრეტა — ვასკუ და გამა 3:2; კრუზეირო — ბოტაფოგო 3:2; სან პაულუ — ფიგეირენსე 2:1; კურიტიბა — პაისანდუ 1:1; პალმეირასი — გრემიო 2:0; პარანა — სან კეტანო 0:1

პალმეირასი	16	8	6	2	30:12	30
სანტოსი	16	9	1	6	29:23	28
სან პაულუ	16	8	4	4	22:17	28
ფიგეირენსე	16	7	6	3	22:13	27
კრუზეირო	16	8	3	5	23:23	27
ინტერნასიონალი	16	8	2	6	25:19	26
გოიასი	16	7	5	4	29:27	26
პონტე პრეტა	16	8	2	6	16:21	26
ატლ. პარანენსე	16	7	3	6	25:20	24
ფლუმინენსე	16	6	6	4	19:19	24
ფუტებოლი	16	7	3	6	19:19	24
სან კეტანო	16	6	5	5	19:14	23
ვიტორია	16	6	4	6	28:22	22
კრისიუმა	16	6	4	6	24:24	22
ვასკუ და გამა	16	5	5	6	25:21	20
კორინთიანსი	16	5	5	6	17:28	20
კურიტიბა	16	4	7	5	16:16	19
ატლ. მინეირო	16	3	8	5	20:24	17
პარანა	16	4	5	7	14:23	17
გუარანი	16	4	4	8	13:21	16
გრემიო	16	3	6	7	21:27	15
პაისანდუ	16	3	5	8	21:28	14
ბოტაფოგო	16	2	7	7	22:30	13
ფლამენგო	16	2	6	8	16:24	12

იტალიური ტრანსფერები 2004-ში

მილანი

მოვიდნენ
სტამი (ლაციო)
დორასო (ლიონი, საფრანგეთი)
კრესპო (ჩელსი, ინგლისი)

წავიდნენ
ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი)
რედონდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბორიელო (რეჯინა)
როკე უუნიორი (ლევერკუზენი, გერმანია)
კუტუზოვი (სამპდორია)
ალიუ (მონსი, ბელგია)
დონატი (მესინა)
დალა ბონა (ლეჩე)

რომა

მოვიდნენ
კუფრე (სიენა)
მექსეში (ოსერი, საფრანგეთი)
სარტორი (ანკონა)
აკილანი (ტრიესტინა)
ფერონეტი (ტრიესტინა)
ბოვო (ლეჩე)
სტურბა (კატანია)
დომინიკი (ჩეზენა)
ტული (სალერნიტანა)

წავიდნენ
სამუელი (რეალი, ესპანეთი)
კარეუ (ვალენსია, ესპანეთი)
ძებინა (იუვენტუსი)
ლუპატელი (ფიორენტინა)

იუვენტუსი

მოვიდნენ
კაპო (ოსერი, საფრანგეთი)
ძებინა (რომა)
ბლაზი (პარმა)
მატეო ბრიგი (ბრეშა)
ბაიოკო (რეჯინა)
კიელინი (ლივორნო)
ბონეფოი (მესინა)

წავიდნენ
ბუდიანსკი (რეჯინა)
ბაიოკო (მესინა)
ძანკი (მესინა)
კიუმიენტო (სიენა)
ბენჯამინი (სალერნიტანა)

ინტერი

მოვიდნენ
კამბიასო (რეალი, ესპანეთი)
ფავალი (ლაციო)
ხ. ვერონი (ჩელსი, ინგლისი)
ვენტოლა (სიენა)
პოტენცა (პარმა)
ბეატი (ტრიესტინა)
ლომბარდი (ანკონა)
ალტობელი (სპეცია)
დავიდსი (ბარსელონა, ესპანეთი)
ბურდისო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
ლუმბილა (პსუ, საფრანგეთი)
ხუტოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)
ბელ აიდი (პსუ, საფრანგეთი)
ბეგორა (მენსილი, საფრანგეთი)
ჯენტილი (პეზარო)
მეი (პეზარო)

წავიდნენ
ბრეშე (სოსიედადი, ესპანეთი)
ოკანი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ს. დალმა (ტულუზი, საფრანგეთი)
ჰელვეგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნოსა (ვიჩენცა)

პარმა

მოვიდნენ
ფანა (ვერონა)
პიზანუ (ვერონა)
უუნიორი (სიენა)
მორეტი (ბოლონია)
სიჩინიანო (ლეჩე)
სივილია (ლეჩე)
ბოლანო (ლეჩე)
გრიეკო (ჯენოა)
ბუდელი (ჯენოა)
დე ლუჩია (სალერნიტანა)
რებეკი (ჯენოა)

წავიდნენ
ბლაზი (იუვენტუსი)
პოტენცა (ინტერი)
ბ. კარბონე (კატანძარო)
სერიჩი (ვერონა)
კამარატა (კატანძარო)

ლაციო

მოვიდნენ
პანდევი (ანკონა)
დ. ბაჯო (ანკონა)
კ. მანფრედინი (პერუჯა)

წავიდნენ
სტამი (მილანი)
ფავალი (ინტერი)
ფიორე (ვალენსია, ესპანეთი)
კორადი (ვალენსია, ესპანეთი)
კოლონეზე (სიენა)

ერნან კრესპო იტალიაში დაბრუნდა

უდინეზე

მოვიდნენ
დი მიკელე (რეჯინა)
სოსა (მესინა)
დე ვაკა (სერო პორტენო, ურუგვაი)
ტოლედო (კატანძარო)
თ. მანფრედინი (ფიორენტინა)
ნომვეტე (სალერნიტანა)
და სილვა (ფოჯა)

წავიდნენ
იანკერი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
რენარდი (მოდენა)
ნოზელი (ალტო ადიჯე)
ლეონარდუცი (ტივოლი)

სამპდორია

მოვიდნენ
ტონეტო (ლეჩე)
პიზანო (ბრეშა)
დომიცი (მოდენა)
გრანდონი (მოდენა)
პავანი (მოდენა)
ედუსეი (პიაჩენცა)
კოლომბო (პიაჩენცა)
კუტუზოვი (მილანი)
არტიპოლი (პესკარა)
იაკოპინო (ლუკეზე)
კაცურანისი (აეკ, საბერძნეთი)

წავიდნენ
დონატი (მილანი)
იანაგისავა (მესინა)
ჩიპრიანი (ბოლონია)
ფლორო ფლორესი (ნაპოლი)

კიევო

მოვიდნენ
პეზარეზი (ტერნანა)
მენსა (მოდენა)
მარაცინა (მოდენა)
ბრევარიო (პავია)
მუნარი (ჯულიანოვა)
დე ფრანჩესკი (ბარი)
ბრუნო (ბარი)
დ. ფრანჩესკინი (ლეჩე)
ა. კარბონე (ტრიესტინა)

წავიდნენ
სალა (ატალანტა)
ბონომი (სიენა)
სანტანა (პალერმო)
მორონე (პალერმო)
ფრეცოლინი (მოდენა)

ლეჩე

მოვიდნენ
კორალო (კროტონე)
ჩირილო (სიენა)
ანანია (აველინო)
დალა ბონა (მილანი)

წავიდნენ
ტონეტო (სამპდორია)
ვ. დალმა (გრენობლი, საფრანგეთი)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მარინიელო (კატანძარო)
ბოვო (რომა)
დ. ფრანჩესკინი (კიევო)
ბოლანო (პარმა)
სიჩინიანო (პარმა)
სივილია (პარმა)
ბილი (მონსი, ბელგია)
კუიო (მონსი, ბელგია)

ბრეშა

მოვიდნენ
მანინი (პიზა)
დალამანო (ლუმეცანე)
ლ. გონსალესი (მარტინა)
ა. ლუკარელი (ფიორენტინა)
კორტელინი (ლუმეცანე)
ძობოლი (ალბინოლეფე)
მანინგერი (ბოლონია)

წავიდნენ
რ. ბაჯო (თამაში მიატოვა)
პიზანო (სამპდორია)
მატეო ბრიგე (იუვენტუსი)
მანიერო (პალერმო)
პ. კასტელინი (ტორინო)
მაური (მოდენა)
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
მატუზალემი (შახტარი, უკრაინა)
პეტრუცი (ბოლონია)

ბოლონია

მოვიდნენ
ჟუარესი (სიენა)
ნასტასე (პალერმო)
კოპოლა (რეჯინა)
ჩიპრიანი (სამპდორია)
შმიტი (ატალანტა)
დელა როკა (ატალანტა)
დაინო (ანკონა)
პეტრუცი (ბრეშა)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ზაგორაკისი (აეკ, საბერძნეთი)

წავიდნენ
დალა ბონა (მილანი)
ნაკატა (პარმა)
ტროიზე (ნაპოლი)
მორეტი (პარმა)
ძანკი (იუვენტუსი)
ნატალი (ატალანტა)
როსინი (ატალანტა)
ძაკარდო (პალერმო)
მანინგერი (ბრეშა)

სიენა

მოვიდნენ
სერაფინი (პარეცო)
მაინი (ანკონა)
ფალზინი (რეჯინა)
ბონომი (კიეკო)
ჟირარდელო (ლიმო)
ფოლიო (ჯენოა)
ვარგასი (ემპოლი)
ძანკოპე (მოდენა)
რასიაკი (გროცლინი, პოლონეთი)

წავიდნენ
როკე უუნიორი (მილანი)
ჩირილო (ლეჩე)
ჟუარესი (ბოლონია)
გიგუ (რომა)
ვენტოლა (ინტერი)
ჯ. როსი (პალერმო)
ლაზეტიჩი (კომო)
კუფრე (რომა)
ლუმბუტისი (პერუჯა)

რეჯინა

მოვიდნენ
გ. მარტინესი (ნაპოლი)
ძამბონი (ნაპოლი)
ლეონი (ფიორენტინა)
ძოპეტი (კატანია)
ვიკარი (ვერონა)
ბოგდანი (სალერნიტანა)
რ. ვერონი (სალერნიტანა)
ლეისალი (ლიბერეცი, სლოვაკეთი)
პიკოლო (კომო)
ბალესტრი (მოდენა)
განჩი (ტრევიზო)
ბუდიანსკი (იუვენტუსი)
კანარზა (ლივორნო)
ესტევეში (ფერეირა, პორტუგალია)

წავიდნენ
კოცა (ჯენოა)
ფალზინი (სიენა)
დალ აკუა (ტრევიზო)
კოპოლა (ბოლონია)
ფალზინი (პარმა)
ბაიოკო (იუვენტუსი)
სტელონე (ნაპოლი)
სოტილი (ჯენოა)
დი მიკელე (უდინეზე)
კომოტო (ტორინო)
ჯაკეტა (ტერამო)

კალიარი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
მოდესტო (მონაკო, საფრანგეთი)
კამარატა (კატანძარო)
პანტანელი (კატანია)

ბერგამო

მოვიდნენ
ადრიანო პერეირა (გრემიო)
მ. გონსალესი (რასინგი, არგენტინა)
ბუდანი (ატალანტა)
კოდრია (პერუჯა)
მანიერო (ბრეშა)
ვანუკი (ემპოლი)
დ. ანდერსონი (ანკონა)
ჯ. როსი (სიენა)
სანტანა (კიევო)
მორონე (კიევო)
დ. აბატე (ტარანტო)
ლაი (სალერნიტანა)
რინაუდო (სალერნიტანა)
ბრიენძა (პერუჯა)
კიარამიტარო (ლივორნო)
ფერი (ასკოლი)
მოდესტო (ასკოლი)
ძაკარდო (ბოლონია)
ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)

წავიდნენ
ნასტასე (ბოლონია)

ლივორნო

მოვიდნენ
პერნა (სალერნიტანა)

წავიდნენ
კ. ლუკარელი (ტორინო)
კიელინი (იუვენტუსი)
კიარამიტარო (პალერმო)
კანარზა (რეჯინა)

მესინა

მოვიდნენ
იანაგისავა (სამპდორია)
პასკა (სორა)
ძამპანა (ტერნანა)
კოპოლა (ბრინდიზი)
ბორიელო (მილანი)
დონატი (მილანი)
ბაიოკო (იუვენტუსი)
ძანკი (იუვენტუსი)

წავიდნენ
ბონეფოი (იუვენტუსი)
გუცმანი (კროტონე)
სოსა (უდინეზე)
გუცო (ჯენოა)
ტემელინი (სპალ)
პრინჩივალი (ტრიესტინა)
დე ჯორჯო (ფროსინონე)
რუსო (ფროსინონე)

ატალანტა

მოვიდნენ
სალა (კიევო)
პირი (ასკოლი)
კომანდინი (ჯენოა)
ინაჩიო პია (პავია)
ნატალი (ბოლონია)
როსინი (ბოლონია)
რივალტა (ვიჩენცა)

წავიდნენ
ბუდანი (პალერმო)
შმიტი (ბოლონია)
სარი (მილანი)
დელა როკა (ბოლონია)
გუარენტე (ვერონა)

ფიორენტინა

მოვიდნენ
დე ვეცე (ასკოლი)

წავიდნენ
ა. ლუკარელი (ბრეშა)
ლეონი (რეჯინა)
თ. მანფრედინი (უდინეზე)
გრაფიანედი (მილანი)
კერუბინი (ვიჩენცა)
ბისმარკი (ვადუტი, ლიხტენშტაინი)



ედგარ დავიდსიც „ინტერშია“

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. II ევროაფრიკული ჯგუფი *მესხის აკადემია. 16 ივლისი*

ვურამ დოლიძისა და ბელეკის ფოტოები

არაბი წუხს, ქართველები ხარობენ

ეგეც ეგვიპტე! მიდი, მაინც ჩვენია

საქართველო 3:2 ეგვიპტე

16 ივლისი

ირაკლი უშანგიშვილი — ქარიმ მაამუნი 1:6, 7:6 (7:4), 6:4, 7:5

ირაკლი ლაბაძე — მუჰამედ მაამუნი 6:3, 6:3, 6:2

17 ივლისი

ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე — ქარიმ მაამუნი, მუჰამედ მაამუნი 6:3, 6:2, 6:2

18 ივლისი

ლადო ჩიხლაძე — ომარ ჰედაიეთი 3:6, 1:6

დავით კვირნაძე — მუჰამედ მაამუნი 4:6, 3:6

სამი დღის საქმე საქართველოს ნაკრებმა ორ დღეში მოამთავრა. დევისის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში დასარჩენად თბილისში ნასტუმრები ეგვიპტელების ძლევა იყო საჭირო. პირველ დღეზე უკვე დავწერეთ და იმასღა შეგახსენებთ, რომ პარასკევის ორი მატჩიდან ორივე მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. ლიდერ ირაკლი ლაბაძის მოგება თუ ისედაც მოსალოდნელი იყო, ირაკლი უშანგიშვილის წარმატების ბევრს არ ეიმედებოდა. რახან მანაც იმარჯვა, გასარკვევი მხოლოდ ისღა დარჩა, შაბათს მივიდოდა საქმე საერთო გამარჯვებამდე თუ კვირას.

შაბათს წყვილები თამაშობდნენ. წინასწარი გეგმით ქართული დუეტი ლაბაძესა და მესამე ნომერ ჩიხლაძეს უნდა შეედგინათ, მაგრამ 2:0-ის შემდეგ ხელმტკივანი ირაკლის კორტზე გასვლის აუცილებლობა თითქოს აღარც იყო. აკი თავადაც თქვა, ჯობია წყვილებში დავისვენო და მთელი ენერგია ისევ ერთეულებს დავახარჯოო. იყო მეორე მოსაზრებაც, შაბათს ეთამაშა, საქმე ბოლომდე მოემთავრებინა და ბოლო დღის უპრინციპო შეხვედრებში გზა სხვებისთვის დაეთმო.

ბოლოს სწორედ ამ მოსაზრებას მისცეს უპირატესობა და ორი არაბი მაამუნის პირისპირ ლაბაძე-ჩიხლაძე დადგა. ჰაჰანაქება სიცხეში არა თუ თამაში, ჩრდილში ჯდომაც კი აუტანელი გახდა, თუმც საჩოგბურთო საზომით მატჩი საკმაოდ მოკლე დროში დასრულდა. ქარიმმა და მუჰამედმა სამივე სეტი პირწმინდად წააგეს და ბოლო ორ თამაშს აზრი დაუკარგეს. მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა მდგომი ლაბაძის თამაშზე საუბარიც ზედმეტია. კორტზე აშკარად ჩანდა მისი კლასი. უფრო სასიამოვნო შედარებით გამოუცდელი ლადო ჩიხლაძის კარგი თამაში იყო. მშვენიერი ფიზიკური მონაცემების მქონე 19 წლის ჩოგბურთელს ტექნიკაც არ დაეწუნებოდა.

კვირას კი ჩიხლაძე აშკარად შებოჭილი იყო. ეგვიპტელთა მეოთხე ნომერ ომარ ჰედაიეთთან მოულოდნელად ორ სეტში 3:6, 1:6 დამარცხდა. ლადომ ოდენ ერთი-ორი გაიბრძოლა, მაგრამ ეგვიპტელმა მალევე დაიბრუნა ინიციატივა და თავის ნაკრებს „პრესტიჟის თამაში" მოაგებინა.

მოგვიანებით არაბებმა ანგარიშის მინიმუმამდე შემცირებაც შეძლეს. მუჰამედ მაამუნმა კლასიფიკაციაში თავისზე ხუთასი საფეხურით უკან მყოფ დავით კვირნაძეს კი მოუგო, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ თამაშით დაჩაგრა. 18 წლის კვირნაძეს გულშემატკივრობაც ერთ-ერთი გამორჩეული ჰქონდა. ჟივილ-ხივილის გამო რამდენჯერმე ლამის ნახევარი წუთიც დასჭირდა ჩაწოდებამდე ცდა. შეძახილები კი იცოცხლეთ, ბლომად იყო „მიდი, დათო"-დან „დაიკიდე, მაინც მოგებულები ვართ"-მდე.

ეს მეორე სეტში იყო. კვირნაძემ პირველის მსგავსად ისიც წააგო, თუმც ვერ ვიტყვით, საქმეს გულგრილად მოეკიდაო... ფსიქოლოგიური მხარეც არაფერ შუაშია. მუჰამედ მაამუნმა უფრო გამოცდილების ხარჯზე იმარჯვა.

ეგვიპტელებს მეორე ჯგუფში დასარჩენად კიდევ მოუწევთ ოფლის ღვრა. ჩვენმა ნაკრებმა კი ეს უკვე გაინაღდა და მომავალ წელს პირველ ჯგუფში გადასასვლელ ბრძოლას მალე დაიწყებს.

„ბიჭების თამაშით კმაყოფილი დავრჩი — გვითხრა მეხუთე თამაშის შემდეგ ნაკრების კაპიტანმა გელა ელერდაშვილმა — რაც მთავარია, მოვიგეთ და ამოცანა შევასრულეთ. მართალია, ბოლო ორი თამაში დავთმეთ, მაგრამ ყველაფერი მანამდე გადაწყდა და ტაქტიკური ცვლილებებიც ამიტომ განვახორციელეთ. ძნელია, რომელიმე მოთამაშე გამოვარჩიო, თუმც ყველაზე საჭირო ქულა ირაკლი უშანგიშვილმა მოგვიტანა. იტალიაში მან სათანადოდ ვერ ითამაშა და ეს ეგვიპტესთან გამოასწორა. ლაბაძის ძალაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უკვე დიდი ხანია, იგი ჩვენი ლიდერია. ჩიხლაძის და კვირნაძის მარცხს უფრო დაბნეულობას დავაბრალებდი. ამ ბიჭებს დიდი ხანია, თბილისში არ უთამაშიათ და ალბათ ზედმეტად ნერვიულობდნენ. ასეა თუ ისე, ყველაფერი კარგად დასრულდა. ახლა ჩოგბურთელები ინდივიდუალურ გრაფიკს დაუბრუნდებიან, მორიგი შეკრება კი მომავალი წლის დევისის თასისთვის გვექნება."

ოთარ მაღლაკელიძე

მესაერთაშ. ტვალეთის ბის უპირველობისტ



— გამარჯვებაში ლომის წილი ირაკლი ლაბაძეს რომ მიუძღვის, ამაში ყველა დამეთანხმება. მის კლასში ერთხელაც დავრწმუნდით. ძალიან ძლიერია და რა გასაკვირია, ასეთ ჩოგბურთელებთან მისი უპირატესობა აშკარად რომ გამოჩნდეს.

...ირაკლი უშანგიშვილის ქარიმ მაამუნთან აღებულმა ქულამ საქართველოს ნაკრების გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. არადა, ირაკლი პირველი წაგებული სეტის შემდეგ მეორესაც აგებდა. ანგარიში 3:5 და 15:40 იყო, თუმც ქარიმი აიჭრა და უპირატესობის განიავება დაიწყო. თამაშის მერე ეგვიპტელს პირადად ვესაუბრე და დანანებით მითხრა, ეს სენი ბოლო თვეებში დამჩემდა, თითქმის მოგებულ პარტიებს ვაგებო. უშანგიშვილთანაც ასე დაემართა, მაგრამ ირაკლის შრომასაც ნუ დავივიწყებთ, იგი ძალიან ნიჭიერი ბიჭია, უბრალოდ, ბევრი აქვს დაკარგული. პროფესიული თვალით თუ შეეხედავთ, მოწინააღმდეგისთვის ადვილად გამოსაცნობ თამაშს აჩვენებს, 3-4 გეიმში შეიძლება გაიშიფროს. გამოსასწორებელია ტექნიკური წუნიც. უმთავრესი პრობლემა კი ისაა, რომ მწვრთნელი არ ჰყავს.

-ლადო ჩიხლაძეს მშვენიერი მონაცემები აქვს კარგი ჩოგბურთის სათამაშოდ. ფიზიკური მონაცემებიც ხელს უწყობს და დაყენებული ტექნიკაც. მისი ნაკლი კორტზე არასაკმარისი თავდაჯერებულობა და ფსიქოლოგიური მომენტია. ამის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია.

...კარგი ბიჭია დავით კვირნაძეც. დღეს თითქოს ცუდადაც არ უთამაშია, მაგრამ აშკარად მეტი შეეძლო. სამი წელია, ესპანეთში ვარჯიშობს და პრინციპში მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება ცოტა ძნელია, თუმც უკეთ თამაში რომ ძალუძს, ამ ერთ შეხვედრაშიც გამოჩნდა.



რიოსის ადიოსი

ნატიფი და უხიაგი

მარსელო რიოსი, პირველი სამხრეთამერიკელი მეჩოგნე, რომელმაც კაცთა რეიტინგსიის სათავეში მოქცევა შეძლო, ამ დღეებში დიდი ჩოგბურთიდან წავიდა.

28 წლის ჩილელი უკვე მერამდენე წელია, ზურგის ტრავმას მკურნალობდა და იმედიც ჰქონდა, რომ კარიერის წამმურდლავი სალმობა, ბოლოს და ბოლოს ჩოგანს დაანებებდა. მაგრამ უკანასკნელმა სამედიცინო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტრავმას არაფერი ეშველება.

რიოსსაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განეცხადებინა.

„ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილებაა თქვა მან — ჩოგბურთი ხომ ჩემი ცხოვრების უდიდესი ვნება იყო. არადა, დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ ბევრის მიღწევა შემეძლო."

ნატიფი ჩოგნაობითა და უხიაგი ხასიათით გამორჩეულმა ჩილელმა ამქრის პირველობა ჩოგანი 1998 წელს გამოჰკრა. იმ წელზევე მოდის მისი უმთავრესი სლემმიღწევაც — ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში თამაში.

დიახ, მიუხედავად საოცარი ნიჭიერებისა და დახვეწილი ბურთაობისა, მან ეგრეც ვერ შეძლო დიდი მუზარადის რომელიმე ტურნირის მოგება. ისე კი მის ტიტულზარდახშაში 18 ტიტულია დავანებული.

შარშან ივლისში დევისთასზე გამოსვლის შემდეგ, რიოსმა ფორმის აკრეფა წლეულს ადრესეზონში, რამდენიმე ჩელენჯტურნირზე გალაღებითაც სცადა. თუმცა, როცა აპრილში უკანასკნელი მატჩის შეწყვეტა მოუხდა, ჩოგანი ხელში აღარც დაუჭერია.

მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რას გააკეთებს მომავალში და არც თუ რაიმე გამოსამშვიდობებელ ყეენობებს მოელის.

ლევან კელაურაძე

ორმოცთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები უცხოურ შეკრებაზე მიემგზავრება. 2001 წლის მაისში ზურაბ ტომარაძემ ნაკრები სლოვენიაში რომ მოამზადა, მას მერე არათუ უცხოური, ერთი რიგიანი თბილისური შეკრებაც არ მოწყობილა. და აი, გატყდა ნავსი, ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ქართველებს იტალიაში მიუძღვება

საქართველო იტალიაში გამთლიანდება

ეროვნული ნაკრების საქართველოში მოთამაშე კანდიდატები 25 ივნისიდან დიღმის ბაზაზე ღვრიდნენ ოფლს, საიტალიო შემადგენლობაში ადგილი რომ მოეპოვებინათ. თავიდან დაახლოებით 15-18 კანდიდატი მოგროვდა და ბრაიკოვიჩმაც გამოაცხადა, ნაკრებში ადგილები მხოლოდ ლეგიონერებს აქვთ დაჯავშნული, თქვენგან კი 3 კაცს ავიყვან ძირითადშიო. ამ ამბავმა ბევრს გაუტეხა გული, მაგრამ ბიჭები მონდომებით ვარჯიშობდნენ და შაბათს ბრაიკოვიჩმა რჩეულნიც დაასახელა.

ოღონდ სამის ნაცვლად ექვსი „ქართველი" მოხვდა ნაკრებში, რაკი „უცხოელთაგან" იტალიაში ჩასვლას ვერ ახერხებენ ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ნაოპერაციები ვახტანგ ნაცვლიშვილი.

ჩვენი ნაკრების უცხოული კანდიდატი ამერიკელი შემონდ უილიამსი აპენინის ნახევარკუნძულზე მილუოკელ ზაზა ფაჩულიასთან ერთად ჩავა, ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა კი თბილისიდან დაემგზავრება ნაკრებს.

საბოლოო შემადგენლობა შაბათს, ვარჯიშის შემდეგ დადგინდა. ბრაიკოვიჩმა ჯერ მოქანცა ბიჭები და შემდეგ თავისთან მიიხმო, იტალიაში წამსვლელები უნდა დავასახელოო... გიორგი ნიკოლაძე, შიო ხეცურიანი, კოტე ტულუში, ვალერი კილაძე, დავით ბერძენიშვილი და ვლადიმერ ბოისა. მანამდე ცნობილი იყო, რომ იტალიაში „დიდი" ბოისა, ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე და შემონდ უილიამსი ჩავიდოდნენ. ასე რომ, შაბათს საიტალიო თორმეტეული საბოლოოდ გაირკვა.

ნაკრები დღეს ღამის 3 საათზე მიფრინავს რომში, საიდანაც ავტობუსით ჩავა ანკონადან 60 კილომეტრში მდებარე მომცრო ქალაქ სენტ ჯორჯიში. ტურნირის დაწყებამდე ქართველები ორი დღე ივარჯიშებენ, 22 ივლისს კი შეჯიბრიც დაიწყება. ბრაიკოვიჩის გუნდის პირველი მეტოქე რუსეთი იქნება, შემდეგ იტალია და ბოლოს შვედეთი. იტალიაში საბოლოოდ უნდა გაირკვეს შემონდ უილიამსის „გაქართველების" ამბავი. ის ნბა-ში მოთამაშე ქართველების დახმარებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ჩვენს ნაკრებში თამაშზე დაითანხმა და თუ მისთვის ქართული პასპორტის გაცემა მოხერხდა, უილიამსი ჩვენს ეროვნულ გუნდში ითამაშებს.

ზანგი გამთამაშებელი ჩვენი ნაკრების წევრადაა იტალიაში გამოძახებული, რადგან მის გარდა სენტ ჯორჯიში 11 ქართველი მოთამაშე ჩავა, განაცხადი კი 12-ის ადგილია. უილიამსი, სავარაუდოდ, ივარჯიშებს ჩვენს ნაკრებში, ხოლო ითამაშებს, თუ არა, ჯერ არავინ იცის. მას ფეხის მსუბუქი ტრავმა აწუხებს.

ნაკრების ქართველ წევრებს დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ბრაიკოვიჩმა არაერთი ისეთი კალათბურთელი გამოიძახა, მანამდე რომ არასდროს უთამაშით ეროვნულ გუნდში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოთამაშე ნაკრებში მოხვედრილი 6 კალათბურთელიდან 5 დინამოელია, ხოლო მეექვსე, ანატოლი ბოისა, თუ საზღვარგარეთ არ წავიდა, ისიც „დინამოში" ითამაშებს.

გიორგი ნიკოლაძე: მთლად იმედი არ მქონდა გადაწურული, მაგარამ რეალურად არ მეგონა, თუ ნაკრების ძირითადში მოვხვდებოდი. თანაც თავიდან ითქვა, რომ საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებისგან მხოლოდ სამს გვქონდა იტალიაში წასვლის შანსი. მერე რომ გაირკვა, ლეგიონერები დაგვაკლდებოდნენ, იმედი მომეცა, თუმც შემდეგ ისიც გავიგე, იტალიაში უილიამსი ჩადისო — ის ხომ ჩემი ამპლუის მოთამაშეა. ყველაფრის მიუხედავად, 12 კაცში მოვხვდი და ძალიან გახარებული ვარ. ადრე, ლევან მოსეშვილის მწვრთნელობისას კი მითამაშია ნაკრებში, მაგრამ მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში. ახლაც ამხანაგური ტურნირია, მაგრამ სად მაშინდელი მეტოქეები და სად იტალია-ევროუნიონი...

შიო ხეცურიანი: ძალიან გამიხარდა. არასდროს ვკოჭლობ ეროვნულ გუნდში გამოძახებული. ბრაიკოვიჩმა არც მარშანდელ შეკრებაზე დამიძახა, და, სამართლე ვთქვა, ცოტა მოულოდნელი იყო. ბრაიკოვიჩმა ამპლუა შემიცვალა, მე-3 ნომერზე, ფრთად მათამაშებს, თუმც, ჩემი აზრით, მსროლელსა და ფრთას შორის დიდი განსხვავება არაა. იტალიური შეკრება არა მხოლოდ იმიტომაა კარგი, რომ ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშებით, ერთმანეთს ყველა გაიცნობს და დავახლოვდებით. არიან ამ შემადგენლობაში ბიჭები, ფაჩულიას რომ არ იცნობენ ახლოს. იტალიაში გავმთლიანდებით

ანატოლი „პატარა" ბოისა: მხოლოდ 20 პროცენტით თუ ვფიქრობდი, რომ 12 კაცში შემიყვანდა დრაჟენ ბრაიკოვიჩი. ჩემს პოზიციაზე საკმაოდ გამოცდილი ხალხი თამაშობდა, თუნდაც ირაკლი ხოშტარია და იტალიაში წასვლაზე როგორ უნდა მეფიქრა?! ჩემი აზრით, მწვრთნელს კარგი დაცვით და შეუპოვრობით მოვაწონე თავი, რაც ფინალურ სერიაში გამოვამჟღავნე მისი გუნდის, „დინამოს" წინააღმდეგ. აბა, შეტევაში დიდი არაფერი გამიკეთებია... ესაა ჩემი დებიუტი საქართველოს ნებისმიერი ასაკის ნაკრებში. აქამდე არც კადეტებში მთამაშია, არც ჭაბუკებში და ხომ წარმოგიდგენიათ, რა გახარებული ვიქნები.

კოტე ტულუში: რა უნდა ვთქვა, ძალიან ბედნიერი ვარ. ნაკრებში თამაში ჩემი ოცნება იყო და უზომოდ მიხარია, რომ ამიხდა. გაზაფხულზე ფეხზე მძიმე ოპერაცია გავიკეთე, თითქმის ნახევარი სეზონი გამიცდა და თუ ასე სწრაფად მოვახეხებდი ფეხზე დადგომას, არ მეგონა.

ირაკლი პერტაია

ვიქტორ სანიკიძე
(დიჟონი, საფრანგეთი) ფრთა



გიორგი ცინცაძე
(ცსკა, რუსეთი) გამთამაშებელი



ზაზა ფაჩულია
(მილუოკი, აშშ) ცენტრი

კოტე ტულუში
(დინამო)
მსროლელი



შემონდ უილიამსი
(ნიუ ორლეანი, აშშ) გამთამაშებელი

მანუჩარ მარკოიშვილი
(ბენეტონი, იტალია) მსროლელი

გიორგი ნიკოლაძე
(დინამო) გამთამაშებელი

ვალერი კილაძე
(დინამო) თავდამსხმელი



შიო ხეცურიანი (დინამო) ფრთა
დავით ბერძენიშვილი (დინამო) ცენტრი

ვლადიმერ ბოისა
(ოლიმპია, სლოვენია) ფრთა

ანატოლი ბოისა (ბასკო) მსროლელი

ფოტოები ფიფიას ბლოგიდან

ბოლო ბოლო აგვცდა
ჭაბუკებს ლატვია შეერჩათ

მატჩი მე-11 ადგილისთვის

საქართველო 80:71 ლატვია

19:23 13:20 29:12 19:16

საქართველო: გამყრელიძე (6), ლეფავა (9), ცინცაძე (11), მარკოიშვილი (16), სანიკიძე (26), დიდია (12), ხურცია, ბექაური

ვიქტორ სანიკიძემ ბოლო ადგილს აგვარიდა

ქართველმა ჭაბუკებმა ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში განსაკუთრებულად მოინდომეს და სამარცხვინო ბოლო ადგილს ასცდნენ. თამაზ ოქრუაშვილის გუნდი ესპანეთიდან ორი გამარჯვებითა და მეთერთმეტე ადგილით ბრუნდება.

ტურნირზე სულ 12 ნაკრები იყო, მაგრამ ქართველები ვერ მოხვდნენ მეპლეიოფე რვეულში და ლიტველებთან დამარცხებით საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ჩემპიონატის ბოლოსწინა ადგილისთვის მატჩში ლატვიას შეხვდნენ.

ლატვია თავიდან საქართველოს ჯგუფში გახლდათ და ოქრუაშვილის გუნდსაც ერთადერთი გამარჯვება სწორედ მასთან მოეპოვებინა. ჯგუფში ქართველებმა ლატვიელები იტალიელებთან და ფრანგებთან წაგების შემდეგ დაამარცხეს და მეოთხედფინალში გასვლის შანსიც გაუჩნდათ, მაგრამ რუსებთან განადგურების შემდეგ სანუგეშო მატჩების ამარაღა დარჩნენ. ჰოდა, შაბათს საქართველომ მეორედ დაამარცხა ლატვია და ტურნირის უსუსტესი გუნდის სტატუსიც ბალტიისპირელებს მიაჩეჩა.

ჩვენიანთაგან ჩვეულებისამებრ სანიკიძე-მარკოიშვილი-ცინცაძის ტრიომ იყოჩაღა, თუმც ლიდერთა მარაქაში რეზო დიდიაც გაერია, რომელიც სხვებზე ერთი წლით უმცროსია და ესპანეთში ტრავმირებული დავით გვიმრაძის ნაცვლად წაიყვანეს.

პირველი ტაიმი ქართველებმა 11 ქულით წააგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ვიქტორ სანიკიძემ გაშალა ხელ-ფეხი, მესამე მეოთხედი 17 ქულით მოაგებინა თავისიანებს და ყველაფერიც აქ გაირკვა. ბოლო მეოთხედში საქართველომ გასაქანი არ მისცა დაბნეულ მეტოქეს და დამსახურებულად წაართვა ევროჩემპიონატის ბოლოსწინა ადგილი.

ირაკლი პერტაია

ცქიტიშვილი ფარსაც აეფარა

ნიკოლოზ ცქიტიშვილი ლას ვეგასის საზაფხულო ლიგის ბომბარდირი გახდა სამ მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 25,7 ქულით. „დენვერის" ქართველმა ფორვარდმა ეს მოახერხა ტურნირზე, სადაც წლევანდელი დრაფტის არაერთი მყვირალა სახელი, თუნდაც „ორლანდოს" პირველ ნომრად რჩეული დუაიტ ჰოვარდი თამაშობდა.

„დენვერი" 13 ივლისს ჩაება ლასვეგასურ საზაფხულო ლიგაში და სამი მატჩი ითამაშა. კოლორადოელები საწყის ორ მატჩში დამარცხდნენ „ბოსტონ სელტიქსთან" და „ორლანდო მეჯიქთან". ეს მატჩები იმით იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ ცქიტიშვილმა პირველში 27, ხოლო მეორეში 26 ქულა ჩააგდო.

ერთადერთი, რაშიც მწვრთნელები ნიკას შეიძლება მოდავებოდნენ, უხვი შედეგიანობის კვალობაზე მოხვეჭილი მწირი მოხსნებია. ცქიტიშვლმა „ბოსტონთან" 2, „ორლანდოსთან" კი 4 ბურთი მოხსნა და ამგვარი პასიურობით ეტყობა, ბევრს აფიქრებინა, თუ ბიჭია, ფარზე იმუშაოსო.

„ქციტომ" ამ ხალხს ბოლო მატჩში გასცა პასუხი — 24 ქულასთან ერთად 11 მოხსნა მოიხვეჭა. დენვერელთა მეტოქე „კლივლენდ კავალიერზი" გახლდათ, რომელსაც ერთადერთი ასე თუ ისე ცნობილი მოთამაშე ჰყავდა, ცქიტიშვილის ზომაწონის დესაგანა დიოპი. დესაგანამ კარგა ხანი დაჰყო მოედანზე, მაგრამ ცქიტიშვილი ვერაფრით შეაჩერა და მისი „კავალერიაც" 10 ქულით, 75:85 დამარცხდა.

ლასვეგასური ლიგა არ დაემთავრებინა, რომ „დენვერი" გაცილებით მასშტაბურ და პრესტიჟულ საზაფხულო კემპზე გადაერთო. „ნაგიტსი" „კლივლენდს" რომ ეთამაშებოდა, სოლტ ლეიკ სიტიში „როკი მაუნთინის" 11-გუნდა ლიგა გაიხსნა. „დენვერი" პირველ დღეს ისვენებდა.

სოლტლეიკური საზაფხულო ლიგა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია და მასში სახელიანი კალათბურთელებიც არ თაკილობენ თამაშს. თუნდაც დენვერელთა გუშინწინდელი მეტოქე „ფინიქსი" ავიღოთ, რომელსაც 3-წლიანი გამოცდილების მქონე კეისი იაკობსენი და შარშანდელი ახალბედა, თუმცა „მზეების" ძირითადში უკვე ფეხმოკიდებული ლეანდრო ბარბოსა ჰყავდა.

„დენვერი" პირველი ტაიმის შემდეგ 6 ქულას აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იოლად, 78:64 იმარჯვა.

ლასვეგასელი ბომბარდირი მთიან „სოლტ ლეიკ" სიტიში შედარებით მოქანცული ჩანდა და გუნდს ოდენ 4 ქულით შეეწია. სამაგიეროდ, ცქიტიშვილმა ფარზე იყოჩაღა და მოედანზე მყოფთაგან ყველაზე მეტი, 8 ბურთი მოხსნა.

ტურნირში 11 გუნდი კი მონაწილეობს, მაგრამ კალენდარი ისეა შედგენილი, „დენვერი" მხოლოდ 6 მათგანს შეხვდება. დღეს „ნაგიტსი" „დალასს" ეთამაშება.

ირაკლი პერტაია



ტომი ჰაასი

აგასის რვაასს იქით ჰაასი დაუხვდა

MERCEDES-BENZ CUP
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

მეოთხედფინალი

ტომი ჰაასი (გერმანია) — ანდრე აგასი (1, აშშ) 7:6 (7:5), 6:7 (6:8), 6:3; სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — მარდი ფიში (3, აშშ) 7:6 (8:6), 7:6 (9:7); ნიკოლას კიფერი (გერმანია) — გრეგ რუზეიკი (ბრიტანეთი) 6:1, 6:4; ჯეფ მორისონი (აშშ) — უესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4

ნახევარფინალი

ჰაასი — სოლნიე 7:5, 7:5; კიფერი — მორისონი 3:6, 6:2, 6:4

მეოთხედფინალამდე მისულ განთესილებს — ანდრე აგასისა და მარდი ფიშს უსიამოვნო სიურპრიზები ელოდათ. ტურნირის სამგზის (1998, 2000-01) ჩემპიონმა არმენიამერიკელმა, ვინაც პირველ წრეში კარიერის მერვეასე გამარჯვება მიითვალა, შარშან ტრავმიანობის გამო ნაუქმარ ტომი ჰაასთან დათმო, ფიში კი მეორედ შეხვდა 28 წლის ფრანგ სოლნიეს და მეორედვე იძლია.

აგასი პირველ სეტს 5:1 იგებდა და თითქოს იოლადაც უნდა დაწინაურებულიყო, მაგრამ მერე გერმანელი აიჯაგრა და სეტის ტაიბრეიკამდე მიყვანა შეძლო. ტაიბრეიკზევე გაირჩა მეორე სეტიც და აქ უკვე აგასიმ მოახერხა თავის დაძვრენა, როცა მეტოქეს ორი მატჩბურთი წაუმურდლა.

მესამეში კი 34 წლის ანდრანიკმა ველარ იომა და ჰაასსაც მატჩის სადავეები აღარ მოუშვია.

სხვათა შორის, მეოთხედფინალშივე დამარცხდა წინა კვირას ნიუპორტულ ბალახზე გაჩემპიონებული გრეგ რუზეიკი.

ნახევარფინალმა კი გერმანელთა ზეობით ჩაიარა. ჰაასმა, ვინაც წლეულს ჰიუსტონურ თიხნარზეც იმარჯვა და ახლა სეზონის მეორე ტიტულზე ნადირობს, სოლნიე მოქანჩა. ხოლო რუზეიკის მძლეველმა კიფერმა, რაგინდარა ტიტული უკვე ოთხი წელია, რომ არ რგებია, ბოლო ამერიკელი ჯეფ მორისონი ჩამოიცილა.

ამ ფინალამდე კიფერი და ჰაასი ერთმანეთს სამჯერ შეხვედროდნენ და პირველი მეორეს 2:1 უგებდა. ბოლოჯერ მათ 2000 წლის უიმბლდონობაზე იკეჭნავეს და ჰაასმა მაშინ 4 სეტში იმარჯვა.

MERCEDES CUP
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 615 ათასი €

მეოთხედფინალი

გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) — ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) 6:4, 6:3; დავიდ ფერერი (11, ესპანეთი) — რაფაელ ნადალი (14, ესპანეთი) 6:3, 6:7 (3:7), 7:5; ნიკოლაი დავიდენკო (15, რუსეთი) — ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) 6:3, 6:4; გილერმო კანიასი (არგენტინა) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:4

ნახევარფინალი

გაუდიო — ფერერი 6:3, 5:7, 6:4; კანიასი — დავიდენკო 3:6, 6:1, 6:2

ლოსანჯელესური ტურნირის ბედი თუ შიდაგერმანულ შეხლას უნდა გადაეწყვიტა, შტუტგარტულ ტურნირზე სატიტულოდ ერთმანეთს არგენტინელები — წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებული და ბასტადის ფინალისტი გასტონ გაუდიო და იქაურ ფინალში ორჯერ (2001-02) ჩოგანმოცარული გილერმო კანიასი უნდა შეხლოდნენ.

BANK OF THE WEST CLASSIC
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

მეოთხედფინალი

ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (5, ისრაელი) 6:0, 6:3; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:4, 3:6, 6:1; ემი ფრეზერი (6, აშშ) — პატი შნიდერი (3, შვეიცარია) 6:3, 7:6 (7:4); მარია ვენტო-კაბჩი (8, ვენესუელა) — ფრანჩესკა სკიავონე (4, იტალია) 6:4, 6:1

ნახევარფინალი

უილიამსი — ფრეზერი 6:3, 6:1; დევენპორტი — ვენტო-კაბჩი 6:3, 6:2

ვინუს უილიამსი და ლინდსი დევენპორტი ტურნირის ორ-ორგზის ჩემპიონები არიან და შესაბამისად, გუშგვიანდამ რომ იფინალებდნენ, რომელიღაცა მაოგანი სტენფორდის უკვე სამჯერ გამარჯვებულიც შეიქმნებოდა. სხვათა შორის, აქამდე ისინი იქაურ ფინალში ერთმანეთს სამჯერ შეხვედროდნენ და ლინდსი ვინუსს 2:1 უგებდა. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ 28 წლის დევენპორტი წლის ბოლოს ჩოგნის ჩამოკიდებას აპირებს, გუშინ ისინი ერთმანეთს იქ უკანასკნელად უნდა დაპირისპირებოდნენ.

ლევან კელაურაძე

ახალზელანდიელებმა ავსტრალიელი ლოუთ ტუკირი შებოჭეს

REUTERS ველინგტონიდან

მაორების ბელადი ტანა უმაგა „ბლედისლოუს თასით“

ავსტრალიას ახალი ზელანდია მოელანდა

16 ივლისი. ველინგტონი

ახალი ზელანდია 17:6 ავსტრალია

ახალი ზელანდია: მულიაინა, ჰოულეტი, უმაგა (კაპ), კარტერი, როკოკოკო; სპენსერი, მარშალი; რაში, მაკქოუ, გიბსი, რობინსონი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, მიიუსი

სათადარიგოები: ჰორი, სომერვილი, კოლინზი, ჰოლა, კელეჰერი, ევანსი, ტუიტუპუ

ავსტრალია: ლათამი, რეთბოუნი, მორტლოკი, ფიტო, ტუკირი; ლარქემი, ვაიტეკერი; ლაიონზი, ვუ, სამო, შარპი (კაპ), ჰარისონი, ბაქსტერი, ქენონი, იანგი

სათადარიგოები: ჰოლი, დანინგი, ვიკერმანი, სმიტი, ჰენიაკი, ბერკი, სეილორი

ახალი ზელანდიის მთავარქალაქ ველინგტონში, „ვესტპაქის“ სტადიონზე ორი უდიდესი სარაგბო სკოლის წარმომადგენლის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გუნდების დაპირისპირება შედგა. ეს გახლდათ 3 ერის თასის გათამაშების პირველ მატჩი და სამხრეთ ნახევარსფეროს ამ მგრგვინავი სანაკრებო ტურნირის გახსნა ახალზელანდიელების 17:6 გამარჯვებით დასრულდა. „შავებმა“ გარდა იმისა, რომ ტურნირში გამარჯვებისაკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს, „ბლედისლოუს თასიც“ შეინარჩუნეს (ეს თასი ამ ორ მეზობელს შორის ყოველწლიურად თამაშდება). „შავებმა“ დამსახურებულად იმარჯვეს და იმაზე მეტ უპირატესობას ფლობდნენ, ვიდრე ეს ანგარიშში აისახა, „ვოლაბები“ კი კარგად იცავდნენ თავს და მათ ამაში ამინდიც დაეხმარათ.

ველინგტონში მობურთავე მორაგბეები ქარს არ შეუწუხებია. სამაგიეროდ, ბარაქიანად წვიმდა და სველი ბურთი აქეთურებსაც და იქითურებსაც ხელიდან უსხლტებოდა.

პირველივე წამზე სტივენ ლარქემმა არაზუსტად შეიყვანა ბურთი თამაშში და არც დანარჩენ 80 წუთში გაუკეთებია რაიმე სასარგებლო. ბურთს ზელანდიელები დაეუფლნენ და მთელი პირველი ტაიმის მსვლელობისას არ გაუშვიათ ხელიდან უპირატესობა. საერთოდაც ავსტრალიელებს ეტყობოდათ, რომ კაპიტანი გრეგანის არყოფნაში აშკარად დაბნეულად გამოიყურებოდნენ. ისინი 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაემუქრნენ მეტოქეს მეტ-ნაკლებად მწვავე შეტევებით, „შავები“ კი რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყვნენ მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანთან.

მეორე 40 წუთში ზელანდიელებს საერთოდ არ მიუციათ მექოქისთვის საჯარიმოს დარტყმის შანსი, თავად კი ამ კომპონენტში ორჯერ იხეირეს და ორივე მათი საჯარიმო დარტყმა ავსტრალიელთა მხრიდან წესების უხეშ დარღვევას მოჰყვა. ჯერ იყო და ბრენდან ქენონმა უთავაზა მუშტი სახეში კევინ მეალამუს, შემდეგ კი სტირლინგ მორტლოკმა „მაღალმხატვრულად“ ააყირავა „მაორების“ კაპიტანი, გნებავთ, ბელადი ტანა უმაგა.

როგორც წესი, ორივე გუნდი კომბინაციური თამაშით გამოირჩევა და ამ მხრივ ალბათ მსოფლიოში საუკეთესებიც არიან. ამიტომ ორივენი უხვად არიგებდნენ პასებს და ბურთის სწრაფი გადაადგილებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და ეს ზელანდიელებს გაცილებით უკეთ გამოსდიოდათ.

პირველად ავსტრალიელები ახალ ზელანდიას მაშინ დაემუქრნენ, როცა ჯასტინ ჰარისონი მილს მულიანას მიაწვა. ზელანდიელს მისი შეჩერება აშკარად გაუჭირდებოდა, დაგ ჰოულეტი რომ არ დახმარებოდა. თავის მხრივ ჰარისონს კლაიდ რეთბოუნი ამოუდგა მხარში, თუმცა შეტევაში დაჯარიმდა და მომენტიც გააფუჭა.

რამდენიმე შემდეგ შეტევაში ზელანდიელებს ხელი მოეცერათ, მაგრამ ამის მიუხედავად, დაწოლას აგრძელებდნენ და „ვოლაბებს“ სულ უფრო უჭირდათ მათი შეტევების განეიტრალება. ბოლოს ალ ბაქსტერი შეცდა და დაჯარიმდა. კარტერმა საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და თავის გუნდი დააწინაურა. მოგვიანებით ბილ იანგი უბურთო მოწინააღმდეგეს თავს დაესხა და კარტერს კიდევ ერთი შანსი მიეცა, ჯარიმა გაეტანა, თუმცა ამჯერად ვერ ივარგა.

საბოლოოდ პირველი ტაიმი 3:0 დამთავრდა ზელანდიელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში მოედანზე გაწევ-გამოწევამ იმატა. 43 წუთზე ბრენდან ქენონმა მეალამუს სახეში გაარტყა, ახალზელანდიელიც არ დარჩა ვალში და ავსტრალიელისკენ გაიწია. ჯასტინ ჰარისონმა ალბათ იფიქრა, მსაჯი ამათ დაშოშმინებაზე ფიქრობს, მე ვინ მომაქცევს ყურადღებასო და თავის მომცრო სეხნია მარშალის დაჩაგვრა განიზრახა. მარშალს სპენსერი გამოექომაგა, ერთი სიტყვით, ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა, დავიდან კი გამარჯვებული მსაჯი გამოვიდა. საბოლოოდ ჩხუბისთავი ქერონი მოედნიდან მიაბრძანა, მოპასუხე მეალამუც გააყოლა და მატჩი განაგრძო. როგორც მოგვიანებით გაირკვა სადისციპლინო კომიტეტმა ქენონს ორკვირიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა და ბრენდანი თავის გუნდს 1 აგვისტომდე ვერ დაეხმარება.

ამ ინციდენტის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ზელანდიელებმა ლელო გაიტანეს. შერკინებიდან გამოტანილ ბურთს ჯო როკოკოკო დაეუფლა, მარჯვნივ გრძელი პასი გაუჭრა დაგ ჰოულეტს და „შავებმა“ თავისი ლელო გაიტანეს. გარდასახვა რაღა თქმა უნდა კარტერმა შეასრულა და ანგარიში ცამეტამდე გაზარდა.

ასეთი სხვაობა ასეთ მატჩში მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მითუმეტეს რომ ზელანდიელები დაწოლას აგრძელებდნენ.

მიუხედავად ამისა ავსტრალიელებს მალე ლელოს გატანის ორი მეტ-ნაკლებად კარგი შანსი მიეცათ, აქედან ერთხელ იხეირეს კიდეც. ორივე შესაძლებლობა მათ მაღალი ბურთის გადაკიდების შემდეგ მიეცათ. ერთ ეპიზოდში სახიფათო თითქოს არც არაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯო როკოკოს ბურთი მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა, სტირლინგ მორტლოკიც უმალ შემთხვევის ადგილას გაჩნდა, მიწიდან ასხლეტილი ბურთი ამოიიღლიავა და ულამაზეს ნახტომში ხარიხას ქვეშ გასრიალდა. ჟიტომ გარდასახა და ავსტრალიელებმა ამ მატჩში თავიანთი პირველი და უკანასკნელი ქულები მოიპოვეს.

შეხვედრის უკანასკნელ წუთზე ავსტრალიელთაგან ლელოს შემოქმედი მორტლოკი დაჯარიმდა და კარტერმა საჯარიმო დარტყმით საბოლოო ანგარიში დაფიქსირა 16:7.

ლადო ფულუკიძე

შვიდკაცამ შვიდიანში მოარტყა

ბორჯღალოსნებმა რუსეთზე გადაიარეს

ქართველმა შვიდკაცელებმა პალმა დე მალიორკაში ჩატარებული ორდღიანი ევროპის ჩემპიონატი მეექვსე ადგილით დაასრულეს და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გაინაღდეს. ჰონკონგში თამაშის უფლება ევროპირველობის საუკეთესო შვიდეულს ერგებოდა და ბორჯღალოსანთა პროგრამა-მინიმუმიც ეს იყო. მაქსიმუმის შესრულებაში კი ზაზა ლეჟავას სამწყსოს ირლანდიამ შეუშალა ხელი.

„სიკვდილისად“ მონათლულ D ჯგუფში პირველ ადგილზე გასული საქართველოს ნაკრების სპეციალისტებმა იმთავითვე ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მიიჩნიეს, თუმც პროგნოზები მეთხედფინალშივე გაცრუვდა. C ჯგუფში საფრანგეთის ვერმომგებმა „აირიშებმა“ 26:12 გვძლიეს და ნახევარფინალში იტალიაზე გაიწიეს. ჩვენს ნაკრებს კი ერთადერთ იმედად მეხუთე ადგილისა და სინისთვის ბრძოლაღა დარჩა.

ბოლო ორ მატჩში ბორჯღალოსნებს ერთის მოგება სჭირდებოდათ, რათა ჰონკონგის ლიცენზია აეღოთ და ეს პირველივე, შეხვედრაში შეძლეს — რუსებს ისე მოუგეს, მცირე შანსიც კი არ მიუციათ — 35:0.

მეხუთე ადგილისთვის საქართველო საფრანგეთს შეხვდა, თუმც, თბილისური ფინალისგან განსხვავებით, ამჯერად ფრანგებმა იმარჯვეს — 45:21.

ფინალში კი პორტუგალია და იტალია დაეჯახნენ. პორტუგალიელებმა ერთხელაც დაამტკიცებს შვიდკაცაში თავიანთი ძალა, აპენინელებს 21:14 სძლიეს და თაასიც აწიეს. მესამე ადგილისთვის ირლანდიამ შოტლანდიას აჯობა — 14:7. ჰონკონგის მეშვიდე საგზური კი რუსეთს ერგო, რომელმაც მძიმე ბრძოლაში მასპინძელი ესპანელები 17:12 დაამწუხრა.

შვიდკაცა ბორჯღალოსნები უკვე ჰონკონგში არიან

აქვე ერთი ცხელი ინფორმაციაც: მსოფლიოს ჩემპიონატი 2005 წლის მარტის ბოლოს უნდა გაიმართოს. 19 მარტს კი ერთა თასზე საქართველოს ნაკრები პორტუგალიას სტუმრობს. ფირა-აერის მოთხოვნით, ეს თამაში ალბათ 12 თებერვლისთვის გადმოიწევა.

ოთარ მაღლაკელიძე

სასიამოვნო მოულოდნელობა იტალიიდან
მამულს ხელი მოემართა

ეს ლამაზი თასი, რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართველ ხელბურთელთა უცხოური ნადავლია. ისე შევეჩვიეთ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი გუნდების რეგულარულ მარცხს, რომ ერთი-ორი მოგება და მით უფრო ტურნირის ფინალამდე მიღწევა მეტად სასიამოვნო მოულოდნელობად აღიქმება.

იტალიის საკურორტო ქალაქ ტერამოში 32-ედ ჩატარდა „ინტერამნიას მსოფლიოს თასის“ გათამაშება. ეს გახლავთ ტრადიციული ტრანდიოზული ფესტივალი, რომლის დევიზია „ხელბურთი მშვიდობის სამსახურში“ და რომელშიც ამჯერად 54 ქვეყნის ჭაბუკმა ხელბურთელებმა იასპარეზეს ექვს ასაკობრივ ჯგუფში. თამაშები დილიდან გვიან საღამომდე მიმდინარეობდა ქალაქის 16 მოედანზე. ჩვენები ყველაზე უფროს, 21-წლიანთა ტურნირში გამოვიდნენ. ორგანიზატორებმა მიწვევა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდ „მამულის“ სახელზე გამოგზავნეს. მამულელთა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ჭანტურიამ თავისიანებს „სტუ-შევარდენის“, „მართვეს“ და „თბილისის“ რამდენიმე მოთამაშე დაუმატა. ასე რომ, გუნდს თბილისის ნაკრები უფრო ეთქმის.

ათი გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა. ქართველებმა სასტარტო მატჩი მინიმალური ანგარიშით 22:23 წააგეს უნგრელებთან, მომდევნო ტურში ასევე ერთბურთა სხვაობით 20:19 სძლიეს უკრაინის „დინამოს“, შემდეგ ფრედ — 24:24 ითამაშეს მასპინძლებთან, დასკვნით შეხვედრაში კი დანიელები 32:22 დაჯაბნეს.

შედეგად, ჩვენი ბიჭები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ უკრაინელების შემდეგ და გააგრძელეს ბრძოლა პირველობისთვის. ნახევარფინალში მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს ალჟირელების დამარცხება — 27:26 და ფინალში ისევ პოლტავის „დინამოს“ პირისპირ წარსდგნენ. სამწუხაროდ, გადამწყვეტ თამაშში ჭანტურიას გუნდს ძალა აღარ ეყო, თანაბარი პირველი ტაიმის (12:12) შემდეგ ბოლომდე ვეღარ გაუძლიანდა მეტოქეს და რვაბურთიანი სხვაობით დამარცხდა — 21:29.

თბილისელთაგან შედეგიანობით გამოირჩა „შევარდენის“ ფორვარდი ვლადიმერ რუსია, რომელმაც ექვს თამაშში 42 გოლი გაიტანა. 25 ზუსტი ტყორცნა მიითვალა უმცროსმა რევაზ ჭანტურიამ, რომელიც ერთი სეზონი უკრაინის ჩემპიონ, ზაპოროჟიეს „ZTR“-ის ღირსებას იცავდა, ახლა თავისუფალი აგენტია და გააგრძელებს თუ არა უკრაინულ კარიერას, ერთ თვეში გაირკვევა. ტერამოში კარგად უთამაშიათ აგრეთვე 21 გოლის გამტან მართველ გიორგი კვერნაძეს და მეკარე ალეკო ხონელიძეს.

ტურნირზე მრავლად იყვნენ სელექციონერები უცხოეთიდან, რომელთაც ხონელიძეს, რუსიას და ჭანტურიას დაადგეს თვალი და სამი-ოთხი ქვეყნიდან შეთავაზებაც ყოფილა.

ბოლოს ორი სიტყვით ორგანიზაციულ მხარეზე: მასპინძლებს არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი და 140-გუნდა შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. ბატონი რევაზი განსაკუთრებით მოიხიბლა ტურნირის პრეზიდენტ პიერლუიჯი მატეოტის თბილი მიღებით და ჩვენი დელეგაციისადმი ყურადღებით.

გია ახალაძე

ქართველი ხელბურთელები ტერამოს ტურნირის გახსნაზე

ტურ დე ფრანსი

ლენს არმსტრონგი და ივან ბასო ავი ბასკი გულშემატკივრების ზღვას მიაპობენ

კარგად მეყოლეთ! არმსტრონგმა დანარჩენებს ფეხი დაუჭნია

ლენს არმსტრონგი უკვე ჩემპიონია. ასე თვლის ყველა, ვინც ველოსპორტის აღმართ-დაღმართიან ხასიათს იცნობს. ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ გადაწყვიტა შაბათს პირინეის მთებში 205 კილომეტრზე გაჭიმულმა მე-13 ეტაპმა. შესაძლოა, აქ გადაწყდა ტურ დე ფრანსის ხუთჯერ მომგები ამერიკელის ზედიზედ მეექვსე ჩემპიონობა.

თავდაპირველად პელოტონს ორი თავზეხელაღებული მრბოლი — მიქაელ რასმუსენი და იენს ვოიტი გამოეყვნენ და მარტოებმა გაქუსლეს გასკონიის მთებში. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ასე გადაიარეს ხუთი რთული მთა და სულ ბოლოს მეექვსეს რომ შეუყვნენ, აქ წამოეწია პელოტონი, რომელსაც თავში სწორედ არმსტრონგის გუნდი „US პოსტალი“ ჩასდგომოდა თავის ლიდერიანად. სწორედ ამ 16-კილომეტრიანმა, საშუალოდ 8 გრადუსით დახრილმა აღმართმა შეიწირა თითქმის ყველა, ვისაც არმსტრონგის ძლევის იმედი უღვივოდა. ვერც მთავარმა მდევარმა იან ულრიხმა და ვერც სხვა მთიელებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს ჯერ „პოსტალის“, შემდეგ კი თავად არმსტრონგის ტემპს და თანდათან თვალს მიეფარნენ. მხოლოდ იტალიელმა ივან ბასომ სდია დიდ ჩემპიონს ბოლომდე და საშინელი აღმართის მხოლოდ ბოლო მეტრები წააგო მასთან. ეს ფინიში წინა ეტაპისას ჰგავდა, ეგაა მე-12 ეტაპი ბასომ მოიგო. ახლა იტალიელი მხოლოდ წუთნახევრით ჩამორჩება მთავარ ფავორიტს და პრაქტიკულად ერთადერთია, ვისაც მისთვის ოდნავი წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი შერჩა.

იან ულრიხმა კი მე-12 და მე-13 ეტაპებზე ბარე 5 წუთი წააგო არმსტრონგთან და ისე ჩანს, კვლავ მშრალზე დარჩება.

ცალკე აღსანიშნავია საერთო ჩათვლის სადღეისო ლიდერი, ახალგაზრდა ფრანგი ტომას ვეკლერი, რომელიც სასწაულებრივი შეუპოვრებით ინარჩუნებს ლიდერის ყვითელ მაისურას. მე-13 ეტაპამდე ის 5 წუთზე მეტს უგებდა არმსტრონგს და მართალია მხოლოდ მე-13 მივიდა ფინიშთან, მაჭგრამ იმდენი მოახერხა, ხუთ წუთზე ნაკლები წააგო დიად მეტოქესთან. მე-14, ვაკე ეტაპზე არაფერი შეცვლილა ასე რომ, ვეკლერმა ორი დღით გაიხანგრძლივა ყვითელი მაისურის ტარების ბედნიერება.

დღეს ტური ისვენებს, ხვალიდან კი არმსტრონგის ძლევის ფიორა იმედის მქონე მთიელები ალპებს შეუყვებიან და რაღაცის შეცვლას შეეცდებიან.

კოტე ყორშია

ტომას ვეკლერი რაღაც სასწაულით ჯერაც ლიდერია

XIII ეტაპი. 17 ივლისი. ლანემეზანი — პლატო დე ბეი. 205 კმ

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	6სთ 45წთ 38წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	იგივე დრო
3 გეორგ ტოტჩნიგი (ავსტრია, გეროლშტეინერი)	+1წთ 5წმ
4 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი)	+1წთ 27წმ
5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	იგივე დრო
6 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი)	+2წთ 42წმ
7 ხოსე აზევედო (პორტუგალია, US პოსტალი)	+2წთ 50წმ
8 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი)	+2წთ 51წმ
9 პიეტრო კაუჩიოლი (იტალია, ალესიო ბიანკი)	იგივე დრო
10 ჯილბერტო სიმონი (იტალია, საეკო)	+3წთ 43წმ
13 ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბრიოშე ლა ბულანჟე)	+4წთ 42წმ
22 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+7წთ 33წმ
36 იენს ვოიტი (გერმანია, CSC)	+12წთ 52წმ

XIV ეტაპი. 18 ივლისი. კარკასიონი — ნიმი. 192,5 კმ

1 აიტორ გონსალეს ხიმენესი (ესპანეთი, ფასა ბორტოლო)	4სთ 18წთ 32წმ
2 ნიკოლა ჟალაბერი (საფრანგეთი, ფონაკი)	+2წმ
3 კრისტოფ მანგინი (საფრანგეთი, FDJeux.com)	იგივე დრო
4 პერიკ ფედრიგო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი)	+29წმ
5 პეტერ ვროლიჩი (ავსტრია, გეროლშტეინერი)	+31წმ

საერთო ჩათვლა

1 ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბრიოშე ლა ბულანჟე)	62სთ 33წთ 11წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	+22წმ
3 ივან ბასო (იტალია, CSC)	+1წთ 39წმ
4 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი)	+3წთ 18წმ
5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+3წთ 28წმ
6 გეორგ ტოტჩნიგი (ავსტრია, გეროლშტეინერი)	+6წთ 8წმ
7 ხოსე აზევედო (პორტუგალია, US პოსტალი)	+6წთ 43წმ
8 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი)	+7წთ 1წმ

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. III ტური

იტალია 4:0 ბელგია

უკრაინა 0:0 შვეიცარია

B ჯგუფი. III ტური

ესპანეთი 4:1 პოლონეთი

თურქეთი 1:1 გერმანია

სლოვაკეთი

სუპერთასი

ჟილინა 2:1 პეტრჟალკა

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ჯაზი 0:0 ჰიკ

კტპ 2:0 იარო

ტურკუ 3:2 ტპ-47

ჰაკა 1:0 როვანიემი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

შელბურნი 0:2 დროჰედა

ამხანაგური მატჩი

ფულემი 0:2 სელტიკი

ისლანდია

პრემიერდივიზიონი

XII ტური

ფრამი 1:2 ვესტმანაეიარი

აკურეირი 0:2 ვიკინგური

რეიკიავიკი 1:1 კეფლავიკი

შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური

ლანდსკრონა 0:0 ელფსბორგი

იორებრო 3:3 სუნდსვალი

თვით სესარი

არგენტინის ნაკრები კოპა ამერიკას ნახევარფინალში გავიდა: თვით მასპინძელი, პერუ გამოთიშა შეჯიბრიდან. ჩიკალაოში, სადაც არგენტინელებმა ივარგეს, თამაშს ლეგენდარული ლუის სესარ მენოტიც ესწრებოდა, ვინც პირადად თავის გაზრდილ ფეხბურთელებს, კერძოდ, ლუსიანო ფიგეროას, განსაკუთრებული სითბოთი ამხნევებდა.

REUTERS ჩიკლაიოდან

REUTERS ბლუტა დე ბელუდან

ლენსი მიიწევს

ლენს არმსტრონგმა (მუქ სამოსში) მოახერხა და 13-ე ეტაპისთვის ერთ ამოსუნთქვამდე დაუახლოვდა „ტურ დე ფრანსის“ ლიდერს, ბასკური დროშების ფრიალის ქვეშ „პოსტალის“ ლიდერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წლევანდელი ტურის ფავორიტი მაინც თვითონაა.

კანდიდატი წყალზე

პრეზიდენტობის კანდიდატი მარტო პოლიტიკოსი კი არ უნდა იყოს: განთქმულ კუნძულ ნანტაკეტზე წყლის თხილამურობა გაუწევია დემოკრატ ჯონ კერის. ჯორჯ ბუში ნაღდად ვერ გაქაჩავს ასეთ უიქენდს. ვერც მოიცლის.



REUTERS ნანტაკეტიდან

REUTERS საკრამენტოდან

მხოლოდ სიგრძეზე

საკრამენტოში ამერიკის მძლეოსანთა ბოლო საოლიმპიადო გამოცდებია. დიადმა მერიონ ჯონსმა ოდენ სიგრძეზე ხტომის საგზური მოიპოვა, 200 მეტრს, მისივე თქმით, დაღლილობის გამო გამოაკლდა. სწორედ ამის შესახებ აუწყა ჟურნალისტებს მერიონმა, რომელსაც პრესკონფერენციაზე ზორბა პირადი მცველი შემოუძღვა.

REUTERS გოსფორდიდან

კიბი ტაუ

ახლა სამხრეთ აფრიკას ეწვია ზღვისრეთის ერთიანი გუნდი, რომელმაც ჯიგრობით მოვლო ავსტრალია და ახალი ზელანდია და გოსფორდში შეერკინა სამხრეთ აფრიკას. ზღვისრელთა გუნდში დარჩეული ფიჯიელი, სამოელი, ტონგელი და კუკის კუნძულელი მორაგბენი არიან. საბრძოლო ცეკვას კი კიბი ტაუ ჰქვია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge